საქპატენტი
SAKPATENTI

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT

# 2012

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT
# 2012

© საქპატენტი, 2013

# შინაარსი
# TABLE OF CONTENTS


| | | |
|---|---|---|
| წინასიტყვაობა | 4 | PREFACE |
| ორგანიზაციის შესახებ | 8 | ABOUT ORGANIZATION |
| გამოგონებები | 12 | INVENTIONS |
| სასარგებლო მოდელები | 18 | UTILITY MODELS |
| დიზაინი | 23 | DESIGN |
| მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვა | 30 | PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS |
| სასაქონლო ნიშნები | 35 | TRADEMARKS |
| საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები | 47 | APPELLATIONS OF ORIGIN OF GOODS |
| საავტორო უფლებები | 52 | COPYRIGHT |
| დავები | 55 | DISPUTES |
| კანონშემოქმედება | 59 | LAWMAKING |
| საერთაშორისო ურთიერთობები | 61 | INTERNATIONAL RELATIONS |
| მრავალმხრივი ხელშეკრულებები | 82 | MULTILATERAL AGREEMENTS |
| ორმხრივი ხელშეკრულებები | 84 | BILATERAL AGREEMENTS |
| მემორანდუმები ორგანიზაციებთან | 87 | MEMORANDUMS WITH ORGANIZATIONS |
| საინფორმაციო საქმიანობა | 88 | INFORMATION ACTIVITY |
| ვებგვერდი | 88 | WEBPAGE |
| საგამომცემლო საქმიანობა | 90 | PUBLISHING ACTIVITY |
| ბიბლიოთეკა | 96 | LIBRARY |
| ინფორმაციული ტექნოლოგიები | 99 | INFORMATION ACTIVITY |
| ღონისძიებები და საზოგადოებასთან ურთიერთობა | 103 | EVENTS & PUBLIC RELATIONS |
| სტატისტიკური მონაცემები | 111 | STATISTICAL DATA |

# წინასიტყვაობა
# PREFACE



ძვირფასო მკითხველო,

ტრადიციულად წარმოგიდგენთ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ გასული წლის საქმიანობის ანგარიშს, რომელშიც ასახულია ინფორმაცია უწყების საქმიანობის ყველა მნიშვნელოვანი აქტივობისა და განხორციელებული პროექტების შესახებ. ანგარიშში, ასევე, წარმოდგენილია ინტელექტუალური საკუთრების თითოეულ ობიექტზე საქპატენტის მიერ გაცემული დამცავი დოკუმენტებისა და უწყებაში შემოსული სააპელაციო საჩივრების სტატისტიკა. ყოველწლიური დეტალური ანგარიშის გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა საქპატენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია იყოს საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ინტელექტუალური საკუთრების სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.

Dear reader,

Traditionally, the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti presents its annual report, which reflects important information about the activities and implemented projects of the last year. The report also includes detailed statistics on each title of protection issued by Sakpatenti and appeals filed at the Chamber of Appeals. The annual publication of the detailed report is highly important to make information about the activities of Sakpatenti public, transparent and accessible for any person interested in intellectual property.

The Year 2012 was really important

გასული 2012 წელი ჩვენი უწყებისათვის მართლაც მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს 20 წელი გავიდა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი უწყების შექმნიდან. სწორედ 20 წლის წინ, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, საქართველომ დაიწყო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის ჩამოყალიბება, რომლის სრულყოფის პროცესი დღემდე გრძელდება. ხანგრძლივი მუშაობის შედეგია ის, რომ დღეს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი დასავლურ კანონმდებლობასთან, საქართველო არის ამ სფეროში მოქმედი ყველა ძირითადი საერთაშორისო კონვენციისა და შეთანხმების წევრი და ქვეყანაში, მაღალი სტანდარტების შესაბამისად, ფუნქციონირებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობის მიუხედავად, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული არაერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი მხოლოდ ბოლო წლებში დადგა დღის წესრიგში. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ გასულ წელს ქალაქ მცხეთაში აშენდა საქპატენტის სათაო ოფისი, სადაც თანამედროვე და კომფორტულ გარემოში ერთად განთავსდა საქპატენტის ყველა დეპარტამენტი, შენობაშივე მოეწყო ინტელექტუალური საკუთრების მუზეუმი, ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების საილუსტრაციო ღვინის მარანი ქართული ტრადიციული აქსესუარებით, რითაც ოფისი შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი ხდება ნებისმიერი სტუმრისა და დამთვალიერებლისათვის.

2012 წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებითაც, რადგან საქპატენტში

and productive for our office. First of all, it should be mentioned that in 2012 we celebrated the 20th anniversary of the establishment of the entity operating in the field of intellectual property. 20 years ago, after gaining its independence Georgia started formation of the intellectual property protection system and the development process still continues. It is a result of continuous work that Georgian legislation regulating intellectual property is in full compliance with international laws; Georgia is party to all major international conventions and agreements in this field. The National Intellectual Property Center operates in the country, providing a high standard services.

Despite long and productive activities, a number of very important issues in the field of intellectual property were placed on the agenda only in the recent years. It should be noted also that the headquarters of Sakpatenti was built in Mtskheta and all departments of Sakpatenti were housed in a modern and comfortable atmosphere. An intellectual property museum and a wine cellar illustrating appellations of origin of Georgian wine and Georgian traditional accessories are functioning in the building, which makes the office an impressive and memorable to any guest and visitor.

The year 2012 was very important in the direction of promoting innovation

ჩამოყალიბდა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრი, რომლის საქმიანობის მთავარ მიმართულებად განისაზღვრა გამომგონებლებისა და ბიზნესის დაკავშირება. აღნიშნული ცენტრის შექმნა და ფუნქციონირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც საქართველოში დაპატენტებული გამოგონებების უმრავლესობა არარეალიზებულია და ძალიან დაბალია ადგილობრივ ბიზნესში ინოვაციური ტექნოლოგიების ჩართულობის მაჩვენებელი. ამ მდგომარეობის გამომწვევი მთავარი ფაქტორი კი გამომგონებლებსა და ბიზნესს შორის კავშირის არარსებობაა. ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი მიზნად ისახავს, გამოგონებებისა და ბიზნესის მოთხოვნების შესწავლის საშუალებით, საქართველოში დაპატენტებული გამოგონებების კომერციალიზაციასა და ბიზნესში დანერგვას.

გასული წელი ნაყოფიერი იყო ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მიმართულებითაც. 2012 წლის პირველ აპრილს ძალაში შევიდა შეთანხმება „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შესახებ". შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ ევროკავშირს წარუდგინა საქართველოში რეგისტრირებული ქართული ღვინის ადგილწარმოშობის 18 დასახელება, რომელსაც მიენიჭა დაცვა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის ტერიტორიაზე. ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მექანიზმების გაძლიერება ქვეყნის შიგნით და მათი დაცვა საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში საქპატენტისთვის მომავალშიც რჩება პრიორიტეტულად. სწორედ ამიტომ, საქპატენტმა დასახელებების რეგისტრაციის მოთხოვნით გასულ

activities. The Technology and Innovation Transfer Center was established at Sakpatenti, which as its main activity determined linkage between business and inventors.

The establishment and functioning of such a center is of vital importance while the majority of inventions patented in Georgia are not commercialized and there is a very low index of innovative technologies in local business. The main factor is absence of linkages between business and inventors. Technology Transfer Center aims at commercialization and implementation of inventions into business through conducting studies on innovation and business needs in Georgia.

The last year was fruitful in the direction of protection of Georgian appellations of origin and geographical indications. On April 1, 2012 The "Agreement between the European Union and Georgia on protection of geographical indications of agricultural products and foodstuffs" entered into force. Under this agreement, Georgia presented to EU 18 registered appellations of origin of Georgian wine, which enjoy protection on the territory of the EU member countries. Development of the protection mechanisms of Georgian appellations of origin and geographical indications both in Georgia and abroad remains a priority for Sakpatenti. Therefore, Sakpatenti filed applications for registration of appellations of origin

წელს განაცხადები წარადგინა ყაზახეთისა და ბელარუსის რესპუბლიკებში.

ზემოაღნიშნული რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება მხოლოდ ნაწილია იმ საქმიანობისა, რომელსაც საქპატენტი ყოველწლიურად ახორციელებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბებისათვის. შესაბამისად, წარმოდგენილ ანგარიშში შეგიძლიათ გაეცნოთ 2012 წელს საქპატენტის მიერ გაწეული საქმიანობის დეტალურ ანგარიშს.

in Kazakhstan and Belarus in 2012.

Abovementioned priority areas are only a small part of the activities of Sakpatenti to establish a comprehensive system for the protection of intellectual property. Accordingly, the present report illustrates details of the activities implemented by Sakpatenti in 2012.



ირაკლი ღვალაძე
საქპატენტის თავმჯდომარე

IRAKLI GHVALADZE
SAKPATENTI CHAIRMAN

# ორგანიზაციის შესახებ
# ABOUT ORGANIZATION

განვლილი 2012 წელი საქპატენტისათვის მნიშვნელოვანი საიუბილეო წელი იყო. ზუსტად 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1992 წელს პირველად საქართველომ შექმნა ეროვნული საპატენტო სამსახური, რომლის საფუძველზეც, შემდგომ, ჩამოყალიბდა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი". თანდათან განისაზღვრა საქპატენტის საქმიანობის ძირითადი ორიენტირები, უწყება მიზანმიმართულად ვითარდებოდა და დღეს არის თანამედროვე ევროპული სტანდარტებით მომუშავე ეროვნული საპატენტო უწყება.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" არის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „საქართველოს საპატენტო კანონის" საფუძველზე. საქპატენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საქპატენტი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

საქპატენტი განსაზღვრავს და უშუალოდ ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში და წარმოადგენს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასა (WIPO) და ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საქპატენტის ძირითადი ფუნქციაა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, დიზაინები, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები, სასაქონლო ნიშნები, ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები) განაცხადების ექსპერტიზა და საქარ-

2012 was an important anniversary year for Sakpatenti. Exactly 20 years passed from the time when after the collapse of the Soviet Union, Georgia was the first to create its national patent service in 1992, based on which, later the National Intellectual Property Center Sakpatenti was established. The landmarks of Sakpatenti activity were defined gradually, the office was developed purposefully, and today it is a national office working with modern European standards.

The National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti is a legal entity of public law operating independently in the area of intellectual property, set up on the basis of the ''Patent Law of Georgia''. The head of Sakpatenti is its Chairman, appointed to this post for a 4-year term by the President of Georgia. Sakpatenti is accountable to the Prime Minister.

Sakpatenti defines and carries out intellectual property policy of the state and represents Georgia in the World Intellectual Property Organization and other international organizations active in intellectual property matters.

The core function of Sakpatenti is examination of applications filed for protection of intellectual property objects (inventions, utility models, designs, new varieties of plants and breeds of animals, trademarks, appellations of origin and geographical indications) and granting respective titles of protection on behalf

თველოს სახელმწიფოს სახელით, შესაბამისი დამცავი დოკუმენტების გაცემა. ამასთან, საქპატენტი ახორციელებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დეპონირებას და გასცემს დეპონირების დამადასტურებელ მოწმობებს. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, საქპატენტი ახდენს საპატენტო ინფორმაციის მონაცემთა საძიებო ბაზების ფორმირებასა და ინფორმაციის გავრცელებას.

საქპატენტში ფუნქციონირებს სააპელაციო პალატა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქპატენტის თავმჯდომარე. პალატა კოლეგიური წესით განიხილავს დავებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დაცვის კრიტერიუმების შესახებ.

გარდა ამისა, საქპატენტში ფუნქციონირებს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, რომელიც საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფს ქართველი გამომგონებლებისა და ბიზნესის დაკავშირებასა და საქართველოში დაპატენტებული გამოგონებების კომერციალიზაციას.

საქპატენტის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ინტელექტუალური საკუთრების სფეროს პოპულარიზაცია და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რისთვისაც ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, ატარებს სემინარებს, ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებს.

of the state. In addition, scientific, literary and artistic works are also deposited with Sakpatenti and certificates of deposition are granted. By means of information technologies, Sakpatenti carries out formation of search databases and knowledge dissemination.

A Chamber of Appeals functioning at Sakpatenti, headed by Chairman of Sakpatenti, hears disputes in connection with the decisions of Sakpatenti on intellectual property objects, as well as criteria of their protection.

Along with this, the Technology Transfer Center is functioning at Sakpatenti, which for the purpose of promotion of innovation, provides linkage of Georgian inventors and business representatives and commercialization of inventions patented in Georgia.

One of the priority directions of Sakpatenti activities is popularization of intellectual property field and public awareness raising, for the purpose of which it is engaged in editorial activities, organizes seminars, trainings and other events.





საქპატენტის ახალი ოფისი მცხეთაში
New office of Sakpatenti in Mtskheta

# საქპატენტის სტრუქტურა
## STRUCTURE OF SAKPATENTI




ADVISER
ADVISER
CHAIRMAN
PUBLIC RELATIONS AND MASS MEDIA SECTION
FINANCE DEPARTMENT
PROCUREMENT SECTION
ADMINISTRATIVE DEPARTMENT
INFORMATION TECHNOLOGIES DIVISION
EDITORIAL-PUBLISHING SECTION
TRADEMARKS AND GEOGRAPHICAL INDICATIONS DEPARTMENT
DEPUTY CHAIRPERSON
TECHNOLOGY AND INNOVATION TRANSFER DEPARTMENT
INTERNATIONAL AFFAIRS AND PROJECTS MANAGEMENT DIVISION
INVENTIONS, DESIGN AND NEW VARIETIES AND BREEDS DEPARTMENT
LEGAL AND COPYRIGHT LAW DEPARTMENT
COPYRIGHT LAW PROTECTION SECTION

# გამოგონებები
# INVENTIONS

საქართველოში გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია სამი გზით, კერძოდ:

- განაცხადის წარდგენით უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში";
- უცხოეთში მიღებული პატენტის საფუძველზე, განაცხადის წარდგენით საქპატენტში, რაც ითვალისწინებს ე.წ. „შემოტანილი პატენტის" გაცემას უცხოეთის პატენტის მფლობელზე;
- საერთაშორისო პროცედურის მეშვეობით, რაც გულისხმობს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადის წარდგენას.

გამოგონებაზე ეროვნული პროცედურით განაცხადების მიღება საქპატენტმა დაიწყო დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ, 1992 წლის პირველი მაისიდან. 2013 წლის პირველი იანვრისათვის საქპატენტში გამოგონებაზე შემოსულია 9924 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა და გაიცა 5741 პატენტი (დაახლოებით 58%), ამათგან 3014 – ეროვნულ და 2727 უცხოურ გამოგონებაზე.

საქპატენტის არსებობის მანძილზე ყველაზე მეტი – 4947 განაცხადი შემოსულია ეროვნული პროცედურით, რაც საქპატენტში შემოტანილი განაცხადების საერთო რაოდენობის (9924 განაცხადი) თითქმის ნახევარს შეადგენს.

2012 წელს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით, საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 372 განაცხადი გამოგონებაზე. აქედან, საერ-

The exclusive right in an invention in Georgia may be acquired in three ways:

- By filing an application directly with the National Intellectual Property Center "Sakpatenti";
- On the basis of the patent obtained abroad, by filing an application directly with Sakpatenti, which implies granting the so-called "importation patent" to a foreign patent holder;
- Under the international procedure, which implies filing an international application in accordance with the Patent Cooperation Treaty (PCT).

Sakpatenti began receiving applications for inventions after it was formed as an independent unit in 1992, namely, filing applications for invention began from May 1, 1992. By January 1, 2013, 9924 applications were filed for inventions, of these 5741 ones (about 58%) were registered and patents were granted. Among these, patents were granted for 3014 national and 2727 foreign inventions.

Throughout the existence of Sakpatenti, the greatest quantity of applications, namely – 4947 applications were filed under the national procedure, which is almost the half of the total quantity of the applications filed with Sakpatenti (9924 applications).

In 2012, 372 applications were filed for consideration with Sakpatenti both under the national and international procedures. Of these, 219 applications were

თაშორისო პროცედურით შემოვიდა 219 განაცხადი, ეროვნული პროცედურით კი – 153 განაცხადი, საიდანაც ადგილობრივ განმცხადებლებს ეკუთვნით 137 განაცხადი.

filed under the international procedure, and 153 applications – under the national procedure, of which 137 were filed by local applicants.

## 2008-2012 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2008-2012

| | | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 248 | 288 | 200 | 153 | 153 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 222 | 256 | 183 | 138 | 137 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 26 | 32 | 17 | 15 | 16 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 215 | 186 | 162 | 245 | 219 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 463 | 474 | 362 | 398 | 372 | TOTAL | |




## 2008-2012 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების მიერ გამოგონებაზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS FOR INVENTIONS FILED BY LOCAL APPLICANTS IN 2008-2012

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 7 | 7 | 6 | 4 | 7 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 215 | 249 | 177 | 134 | 130 | NATURAL PERSON |
| სულ | 222 | 256 | 183 | 138 | 137 | TOTAL |



## 2008-2012 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით

### BREAKDOWN OF NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2008-2012 ACCORDING TO COUNTRIES

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 222 | 256 | 183 | 138 | 137 | GE (GEORGIA) |
| აშშ | 108 | 72 | 45 | 65 | 69 | US (USA) |
| იაპონია | - | - | 20 | 16 | 13 | JP (JAPAN) |
| იტალია | 14 | 11 | 19 | 18 | 16 | IT (ITALY) |
| საფრანგეთი | 20 | 25 | 17 | 26 | 26 | FR (FRANCE) |
| დიდი ბრიტანეთი | 14 | 8 | 10 | 8 | 4 | GB (GREAT BRITAIN) |
| გერმანია | 7 | 12 | 2 | 25 | 29 | DE (GERMANY) |
| დანარჩენი | 78 | 90 | 66 | 102 | 78 | OTHER |
| სულ | 463 | 474 | 362 | 398 | 372 | TOTAL |




უცხოელი განმცხადებლებისგან 2012 წელს 235 განაცხადი შემოვიდა. ქვეყნების მიხედვით განაწილების სურათი გვიჩვენებს, რომ უცხოელი განმცხადებლებიდან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ამერიკელები, რომლებმაც 69 განაცხადი შემოიტანეს.

უცხოური განაცხადების საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილების შესაბამისი დარგების მიხედვით განაწილების ანალიზი კი აჩვენებს, რომ გამოგონებათა ყველაზე მეტი რაოდენობა C განყოფილების შესაბამის დარგებზე (ქიმია და მეტალურგია) მოდის და საერთო რაოდენობის დაახლოებით 48%-ს შეადგენს. წინა წელთან შედარებით თითქმის

In 2012, 235 applications were filed by foreign applicants. The breakdown according to countries shows that among the foreign applicants especially active were applicants from the USA, who filed 69 applications.

The analysis of breakdown of local applications according to branches of the International Patent Classification shows that the largest quantity of inventions was in the branches corresponding to Section C (chemistry, metallurgy) – about 48% of the total number.

As compared with the previous year, the number of applications in the branch

## 2008-2012 წლებში შემოტანილი უცხოური განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

### NUMBER OF FOREIGN APPLICATIONS FILED IN 2008-2012 ACCORDING TO BRANCHES

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 68 | 67 | 47 | 82 | 80 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 22 | 7 | 16 | 11 | 25 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 117 | 119 | 94 | 127 | 113 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 9 | 9 | 6 | 18 | 10 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 6 | 10 | 3 | 8 | 3 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 7 | 3 | 8 | 12 | 3 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 12 | 3 | 5 | 2 | 1 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 241 | 218 | 179 | 260 | 235 | TOTAL |




სამმაგი ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა B ჯგუფის (ტექნოლოგიური პროცესები) განაცხადებზე.

ყველაზე დაბალი რაოდენობრივი მაჩვენებლით (1 განაცხადი) წარმოდგენილია H ჯგუფი, რომელიც მოიცავს ელექტროტექნოლოგიებს.

უცხოურისგან განსხვავებით, ადგილობრივ გამოგონებათა უმეტესობა მიეკუთვნება F (მექანიკა) და B (ტექნოლოგიური პროცესები) განყოფილების შესაბამისი დარგების თითქმის ნახევარს.

2012 წელს საქპატენტის მიერ გაცემულია 346 პატენტი გამოგონებაზე, ამასთან, ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით გაცემული პატენტების რაოდენობა თითქმის თანაბარია.

(performing operations) increased about three times.

The index was the lowest for Section H (electricity), represented by 1 application.

Unlike the foreign ones, the majority of local inventions belongs to almost half of relevant branches of Section F (mechanical engineering) and Section B (performing operations).

In 2012 Sakpatenti granted 346 patents for inventions, at the same time, it should be noted that the number of patents granted under the national and the international procedures is almost equal.

## 2008-2012 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

### NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2008-2012 ACCORDING TO BRANCHES

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 76 | 87 | 60 | 29 | 36 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 41 | 44 | 34 | 27 | 28 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 20 | 28 | 14 | 18 | 19 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 10 | 19 | 15 | 16 | 10 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 36 | 42 | 41 | 33 | 22 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 20 | 20 | 8 | 4 | 10 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 19 | 13 | 11 | 11 | 12 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 222 | 256 | 183 | 138 | 137 | TOTAL |




2008-2012 წლებში რეგისტრირებული გამოგონების პატენტების რაოდენობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაცემული პატენტების რაოდენობა მაღალ ნიშნულზე ავიდა 2012 წელს.

2012 წელს საქპატენტში, როგორც „მიმღებ უწყებაში", მიღებული იყო და საერთაშორისო ბიუროში გაიგზავნა 6 განაცხადი, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბიულეტენში. 2013 წლის 1 იანვრამდე საერთაშორისო ბიუროში გაიგზავნა 95 განაცხადი.

The analysis of number of patents for inventions registered in 2008-2012 demonstrates that the number of granted patents increased in 2012.

In 2012, 6 applications were filed with Sakpatenti as the "receiving office". They were sent to the International Bureau and are already published in the International Bulletin. By January 1, 2013, in total 95 applications were sent to the International Bureau.

## 2008-2012 წლებში რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა

### NUMBER OF PATENTS REGISTERED IN 2008-2012

| | | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 169 | 179 | 140 | 121 | 160 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 141 | 147 | 129 | 106 | 143 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 28 | 32 | 11 | 15 | 17 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 128 | 114 | 118 | 116 | 186 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 297 | 293 | 258 | 237 | 346 | TOTAL | |




## 2008-2012 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების სახელზე რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა

### NUMBER OF PATENTS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL APPLICANTS IN 2008-2012

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 7 | 2 | 1 | 6 | 4 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 134 | 145 | 128 | 100 | 139 | NATURAL PERSON |
| სულ | 141 | 147 | 129 | 106 | 143 | TOTAL |



# სასარგებლო მოდელები
# UTILITY MODELS

„საქართველოს საპატენტო კანონის" შესაბამისად, საქართველოში სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია ორი გზით:

- ეროვნული პროცედურით, რაც მოიცავს განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენას;
- საერთაშორისო პროცედურით, რაც მოიცავს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად საერთაშორისო განაცხადის წარდგენას.

საქპატენტში სასარგებლო მოდელზე განაცხადის მიღება დაიწყო 1992 წლიდან. 2013 წლის პირველი იანვრისათვის სულ შემოსულია 2271 განაცხადი. აქედან, გაიცა 1730 პატენტი, რაც 76%-ს შეადგენს.

ამასთან, საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების საერთო რაოდენობიდან ეროვნული პროცედურით შემოტანილი იყო 2258 განაცხადი, საიდანაც პატენტი გაიცა 1723 სასარგებლო მოდელზე.

აღსანიშნავია, რომ გამოგონებისაგან განსხვავებით, სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება პრაქტიკულად მხოლოდ ეროვნული პროცედურით ხდება და წლების მიხედვით მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 60-დან 130-მდე მერყეობს. 2012 წლის მონაცემებით, შემოსულია 49 განაცხადი.

2012 წელს საერთაშორისო პროცედურით სასარგებლო მოდელზე შემოსულია მხოლოდ 2 განაცხადი.

In Georgia an exclusive right in a utility model may be acquired under the Patent Law of Georgia in two ways:

- Under the national procedure, which implies filing an application directly with the National Intellectual Property Center "Sakpatenti";
- Under the international procedure, which implies filing an international application with the International Bureau under the Patent Cooperation Treaty (PCT).

Sakpatenti began to receive applications for utility models in 1992. By January 1, 2013, in total 2271 applications were filed, of these, patents were granted for 1730, which is 76%.

Along with this, of the total number of filed applications 2258 applications for utility models were filed under the national procedure, of these, patent were granted for 1723 ones.

It is noteworthy that unlike inventions, exclusive rights in utility models are acquired practically only by the national procedure and from year to year the total number of applications varies within 60 and 130, and by the data of 2012, 49 applications were filed.

In 2012 only 2 applications for utility models were filed with Sakpatenti under the international procedure.

## 2008-2012 წლებში შემოსული განაცხადების რაოდენობა

### NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2008-2012

| | | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 113 | 107 | 60 | 76 | 49 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 110 | 106 | 59 | 70 | 48 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 3 | 1 | 1 | 6 | 1 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 113 | 107 | 60 | 78 | 49 | TOTAL | |




2008-2012 წლებში ადგილობრივი განაცხადების საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილებების დარგების მიხედვით განაწილების მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, რომ სასარგებლო მოდელზე განაცხადების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის A განყოფილებას მიკუთვნებულ შესაბამის დარგებზე, როგორიცაა: მედიცინა და ვეტერინარია; სურსათი და საკვები პროდუქტები; სოფლის მეურნეობა, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 50%-ს შეადგენს. სხვა დანარჩენი ჯგუფები კი ერთნაირი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი.

როგორც 2008-2012 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიერ საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი გა-

As is obvious from analysis of the data of the breakdown of branches of local applications according to Sections of the International Classification in 2008-2012, the largest quantity of applications for utility models was in the branches corresponding to Section A: medicine or veterinary; food or foodstuffs; agriculture, which is about 50% of the total number. Other groups are represented by similarly small number.

As the number of applications for utility models filed with Sakpatenti in 2008-2012 by local applicants (legal entities and natural persons) demonstrates, by the data of 2012 the in-

## 2008-2012 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

## NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED FOR INVENTIONS IN 2008-2012 ACCORDING TO BRANCHES

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 50 | 50 | 34 | 47 | 24 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 10 | 12 | 4 | 3 | 4 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 17 | 14 | 4 | 3 | 7 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 14 | 10 | 5 | 3 | 7 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 6 | 4 | 6 | 4 | 5 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 9 | 10 | 3 | 4 | 0 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 2 | 6 | 3 | 5 | 1 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 110 | 107 | 59 | 70 | 48 | TOTAL |




ნაცხადების რაოდენობა გვიჩვენებს, 2012 წლის მაჩვენებლებით აღსანიშნავია ფიზიკური პირების განაცხადების საერთო რაოდენობის ზრდა, რომელიც კვლავ გაცილებით აღემატება იურიდიული პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობას.

2012 წელს სასარგებლო მოდელზე გაიცა 59 პატენტი.

crease of the total number of applications of natural persons is noteworthy, which again exceeds several times the number of applications filed by legal entities.

In 2012, 59 patents were granted for utility models.

## 2008-2012 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიერ საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS FOR UTILITY MODELS FILED WITH SAKPATENTI BY LOCAL APPLICANTS (LEGAL ENTITIES AND NATURAL PERSONS) IN 2008-2012

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 13 | 12 | 2 | 8 | 7 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 97 | 94 | 57 | 62 | 41 | NATURAL PERSON |
| სულ | 110 | 106 | 59 | 70 | 48 | TOTAL |




## 2008-2012 წლებში ადგილობრივ განმცხადებლებზე (იურიდიული და ფიზიკური პირები) რეგისტრირებული სასარგებლო მოდელების პატენტების რაოდენობა

## NUMBER OF PATENTS FOR UTILITY MODELS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL APPLICANTS (LEGAL ENTITIES AND NATURAL PERSONS) IN 2008-2012

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 5 | 11 | 6 | 12 | 3 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 67 | 97 | 48 | 39 | 49 | NATURAL PERSON |
| სულ | 72 | 108 | 54 | 51 | 52 | TOTAL |



## 2008-2012 წლებში რეესტრში შეტანილი სასარგებლო მოდელის პატენტების რაოდენობა

## NUMBER OF PATENTS FOR UTILITY MODELS ENTERED IN THE REGISTER IN 2008-2012

| | | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 74 | 110 | 55 | 52 | 59 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 72 | 108 | 54 | 51 | 52 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 2 | 2 | 1 | 1 | 7 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 74 | 110 | 55 | 53 | 59 | TOTAL | |



# დიზაინი
# DESIGN

საქართველოში დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება ორი გზით:

- ეროვნული პროცედურით, რაც მოიცავს „დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენას;
- საერთაშორისო პროცედურით, რაც მოიცავს ჰააგის შეთანხმების შესაბამისად, დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, დაცვის უფლებების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების მოთხოვნას.

ეროვნული პროცედურით დიზაინების* რეგისტრაციის მოთხოვნით განაცხადების მიღება საქპატენტმა დაიწყო 1992 წლიდან, დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ.

„დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საქპატენტში შემოტანილ განაცხადზე ტარდება ექსპერტიზა, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე. ექსპერტიზის პროცედურა მოიცავს განაცხადის შეტანის თარიღის დადგენას, ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზასა და არსობრივ ექსპერტიზას, ხოლო დიზაინის რეგისტრაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კი – განაცხადის მონაცემებისა და დიზაინის გამოსახულების გამოქვეყნებას სამრეწველო საკუთრების

In Georgia it is possible to acquire exclusive right in a design in two ways:

- Under the national procedure, which implies filing an application directly with the National Intellectual Property Centre of Georgia Sakpatenti according to the Law of Georgia on Design;
- Under the international procedure, which implies requesting extension of protection to the territory of Georgia according to the Hague Agreement on the basis of international registration of a design.

Sakpatenti began receiving applications requesting registration of designs under the national procedure after its formation as an independent structural entity in 1992.

According to the Law of Georgia on Design, examination is conducted of the application filed with Sakpatenti, on the basis of which, a decision is taken concerning the registration of the design. Along with this, the examination procedure includes confirmation of the filing date, carrying out examination as to formal requirements and substantive examination, and in case of taking decision concerning the design registration - publication in the bulletin of industrial property. If within a

* ტერმინი „დიზაინი" დამკვიდრდა 2010 წლის 24 ივნისიდან, როდესაც ძალაში შევიდა ,,დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონი. აღნიშნულ თარიღამდე მოქმედი კანონმდებლობით ინტელექტუალური საკუთრების ამ ობიექტს სამრეწველო ნიმუში ეწოდებოდა.
The term "design" was established from June 24, 2010, when the Law of Georgia on Design came into force. Under the law effective before that date this IP object was called "industrial design".

ოფიციალურ ბიულეტენში და თუ გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტის სააპელაციო პალატაში არ შევა სააპელაციო საჩივარი – დიზაინის რეგისტრაციას.

ჩვეულებრივ, განაცხადის ექსპერტიზის პროცედურა დაახლოებით 6 თვიდან ერთ წლამდე ვადას მოიცავს, ხოლო ახალი კანონი „დიზაინის შესახებ" საშუალებას აძლევს ადგილობრივ და უცხოელ განმცხადებელს მოითხოვოს საქპატენტში შემოტანილი განაცხადის განხილვა და დიზაინის რეგისტრაცია დაჩქარებული პროცედურით, ამ შემთხვევაში განაცხადის ექსპერტიზის და დიზაინის რეგისტრაციის პროცედურის ხანგრძლივობა, მოწმობის მიღების ჩათვლით, 1,5 თვეს შეადგენს.

1992 წლიდან 2013 წლის პირველ იანვრამდე საქპატენტში დიზაინის/სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციისათვის ეროვნული პროცედურით სულ შემოვიდა 732 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა 507, რაც საერთო რაოდენობის 69%-ს შეადგენს. ხოლო დაჩქარებული პროცედურის მოთხოვნით „დიზაინის შესახებ" კანონის მიღების დღიდან 2012 წლის ბოლომდე შემოვიდა 27 განაცხადი დიზაინზე, რომელიც ჯამში შეიცავდა 85 დიზაინს, აქედან დარეგისტრირდა 26 განაცხადის დიზაინი.

2012 წელს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 244 განაცხადი დიზაინზე, რაც 1%-ით მეტია 2011 წლის მაჩვენებელზე (236 განაცხადი დიზაინზე). აქედან, ეროვნული პროცედურით შემოვიდა 56 განაცხადი, რომელიც შეიცავდა 208 დიზაინს, ხოლო საერთაშორისო პროცედურით – 188 განაცხადი, რომელიც, თავის მხრივ, 818 განსახილველ დიზაინს მოიცავდა.

2012 წელს ეროვნული პროცედურით საქპატენტში დიზაინზე შემოტანილი განაცხადებიდან 44 შემოტანილი იყო ადგილობრივი განმცხადებლის მიერ, რაც საერთო რაოდენობის 78,5%-ს შეადგენს,

three-month period no appeal is filed with the Chamber of Appeal of Sakpatenti, the design is registered.

The examination procedure takes a period from 6 months to 1 year. However, the new Law of Georgia on Design enables a local or foreign applicant to request processing of the application filed with Sakpatenti and design registration by the accelerated procedure. In this case, the duration of application examination and design registration, including the issue of the certificate, is 1.5 month.

From 1992 to January 1, 2013, in total 732 applications for design/industrial design registration were filed with Sakpatenti under the national procedure, of which 507 ones were registered, which is 69, From the date of enacting the Law on Design to the end of 2012, 27 design applications were filed under the accelerated procedure, which in total included 85 designs, of these, designs of 26 applications were registered.

In 2012, 244 applications for designs were filed with Sakpatenti under the national and international procedures, which is by 1% more as compared with the number of the 2011 data (236 applications for designs). Of these, 56 applications for designs were filed under the national procedure, which included 208 designs, and 188 applications for designs were filed under the international procedure, which included 818 designs to be considered.

Of the design applications filed with Sakpatenti under the national procedure in

## 2008-2012 წლებში ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში შემოსული განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS FILED WITH SAKPATENTI IN 2008-2012 UNDER THE NATIONAL AND INTERNATIONAL PROCEDURES

| | | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 55 | 67 | 47 | 46 | 56 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 38 | 49 | 39 | 39 | 44 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 17 | 18 | 8 | 7 | 12 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 311 | 204 | 186 | 190 | 188 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 366 | 271 | 233 | 236 | 244 | TOTAL | |




ხოლო 12 შემოტანილი იყო უცხოელი განმცხადებლის მიერ, რაც საერთო რაოდენობის 21,5%-ია.

ეროვნული პროცედურით შემოსული უცხოელი განმცხადებლების 12 განაცხადი ქვეყნების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| ფინეთი | 5 |
| რუსეთი | 2 |
| სამხრეთ აფრიკა | 2 |
| თურქეთი | 1 |
| უკრაინა | 1 |
| პანამა | 1 |

2008-2012 წლებში საქპატენტში ეროვნული პროცედურით შემოტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მიღებული დიზაინის განაცხადების დინამიკა გვიჩვენებს, რომ

2012, 44 were filed by local applicants, which is 78.5% of the total amount, and 12 were filed by foreign applicants, which is 21.5% of the total number.

The breakdown according to countries of the 12 applications filed by foreign applicants under the national procedure is as follows:

| | |
|---|---|
| Finland | 5 |
| Russia | 2 |
| South Africa | 2 |
| Turkey | 1 |
| Ukraine | 1 |
| Panama | 1 |

The dynamics of filing applications for designs filed with Sakpatenti under the national procedure and on the basis of

უკანასკნელ სამ წელიწადში განსახილველად მიღებული განაცხადების საერთო რაოდენობა დაახლოებით ერთნაირია, თუმცა, 2012 წელს დაფიქსირდა ეროვნული პროცედურით როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი განმცხადებლების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობის მცირე მატება.

2012 წელს ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირების) მიერ საქპატენტში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა გვიჩვენებს, რომ წინა, 2011 წელთან შედარებით მოიმატა როგორც იურიდიული პირების, ისე ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობამ, მაგრამ პროცენტულად 2012 წელს ფიზიკურ პირებზე მეტად იაქტიურეს იურიდიულმა პირებმა და მათ მიერ შემოტანილი განაცხადები საერთო რაოდენობის 36%-ს შეადგენს, რაც 3%-ით მეტია 2011 წლის ამ მაჩვენებელთან შედარებით.

2012 წელს სამრეწველო საკუთრების რეესტრში დარეგისტრირდა 38 ეროვნული განაცხადით შემოსული დიზაინები, აქედან 27 განაცხადის დიზაინები ადგილობრივი, ხოლო 11 – უცხოელი მფლობელის სახელზე.

უცხოელი მფლობელის სახელზე რეგისტრირებული დიზაინების განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| ფინეთი | – 5 |
| რუსეთი | – 3 |
| დიდი ბრიტანეთი | – 1 |
| პანამა | – 1 |
| ჩინეთი | – 1 |

კლასების მიხედვით კი ეს განაცხადები განაწილებულია შემდეგნაირად:

მე-9 კლასი (ტარა) – 4;

მე-19 კლასი (საკანცელარიო და საკანტორო საკუთნო) – 4;

მე-2 კლასი ( სამოსი) – 1;

მე-12 კლასი (სატრანსპორტო საშუალებები) – 1;

the international registration in 2008-2012 shows that the total number of designs received for consideration during last three years is about the same, but in 2012 the number of applications filed under the national procedure by local and foreign applicants increased slightly.

The number of applications filed with Sakpatenti by local applicants in 2012 (legal entities and natural persons) demonstrates that as compared with 2011 the number of applications filed by legal entities and natural persons increased, but the percentage of applications filed by legal entities in 2012 is higher than those by filed by natural persons, and is 36% of the total number, which is more by 3% as compared with 2011.

According to the data of 2012, designs filed in 38 national applications were recorded in the Register of Industrial Property, of these 27 ones in the name of local, and 11 – in the name of foreign owners.

The breakdown of the designs registered in the name of foreign owners according to countries is as follows:

| | |
|---|---|
| Finland | – 5 |
| Russia | – 3 |
| Great Britain | – 1 |
| Panama | – 1 |
| China | – 1 |

The breakdown of these applications according to classes is the following:

Class 9 (Packages and containers) – 4;

Class 19 (Stationery and office equipment) – 4;

Class 2 (Clothes) – 1;

## 2008-2012 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების მიერ საქპატენტში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

### NUMBER OF APPLICATIONS FILED WITH SAKPATENTI BY LOCAL APPLICANTS IN 2008-2012

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 9 | 26 | 7 | 13 | 16 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 29 | 23 | 32 | 26 | 28 | NATURAL PERSON |
| სულ: | 38 | 49 | 39 | 39 | 44 | TOTAL |




## 2008-2012 წლებში ადგილობრივი მფლობელების სახელზე რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა

### NUMBER OF APPLICATIONS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL OWNERS IN 2008-2012

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 18 | 10 | 14 | 9 | 12 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 20 | 10 | 15 | 22 | 15 | NATURAL PERSON |
| სულ | 38 | 20 | 29 | 31 | 27 | TOTAL |



27-ე კლასი (თამბაქოს ნაწარმი და მოსაწევი საკუთნო) – 1.

ადგილობრივი მფლობელის სახელზე რეგისტრირებული დიზაინების განაცხადები კი კლასების მიხედვით ასე განაწილდა:

მე-9 კლასი (ტარა და საფუთავები) – 9;

მე-2 კლასი (სამოსი) – 5;

32-ე კლასი (ლოგო, გრაფიკული სიმბოლო, გაფორმება) – 3;

თითო განაცხადი პირველ, მე-6, მე-7, მე-8, მე-11, მე-12, მე-18, მე-19, 22-ე და 23-ე კლასებში.

ეროვნული პროცედურისაგან განსხვავებით, საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით საქპატენტში განაცხადების მიღება დაიწყო 11 წლით გვიან, 2003 წლის ნოემბრის ბოლოს, მას შემდეგ, რაც 2003 წელს საქართველო მიუერთდა დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმების ჰააგისა (1960 წ.) და ჟენევის (1999 წ.) აქტებს. 2003-2012 წლების პერიოდის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა 2344 ერთეულს შეადგენს, საიდანაც დაცვა მიენიჭა 2278 განაცხადის დიზაინებს/სამრეწველო ნიმუშებს, რაც საერთო რაოდენობის 97%-ს შეადგენს.

საერთაშორისო პროცედურით საქართველოს ტერიტორიაზე უფლებათა გავრცელების მოთხოვნით განაცხადების პრიორიტეტული დაცვის ობიექტებად კვლავ რჩება საათები, ტარა და საიუველირო ნაწარმი. კვლავ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან განმცხადებლები შვეიცარიიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან, თუმცა, შედარებით მოიმატა განმცხადებლების რიცხვმა თურქეთიდან.

2012 წელს საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდა 185 განაცხადი, რო-

Class 12 (Means of transport) – 1;

Class 27 (Tobacco and smokers' supplies) – 1.

The number of the designs registered in the Register in the name of local owners according to classes is the following:

Class 9 (Packages and containers) – 9;

Class 2 (Clothes) – 5;

Class 32 (Graphic symbols and logos, surface patterns, ornamentation) – 3.

მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების „საირმე" გამოყენების უფლება ერთი წლის ვადით მიენიჭა მინერალური წყლის ჩამომსხმელ კომპანიას – შპს „საირმე მინერალ ვოთერს", ხოლო მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების „ნაბეღლავი" გამოყენების უფლება ამავე ვადით – კომპანიას სს „წყალი მარგებელი", ასევე, 1 წლის ვადით მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების „ბორჯომი" გამოყენების უფლება მიენიჭა შპს "აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის".

„ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ" ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად, 2012 წელს საქართველოზე გავრცელდა და დაცვა მიენიჭა 5 ადგილწარმოშობის დასახელებას.

Cellar", LTD "Tiflisski Vinni Pogreb", JSC "Corporation Kindzmarauli", LTD "Shalvino", LTD "Koncho & Company" and LTD "Kakheti-K".

The certificate confirming the right of use of appellation of origin of mineral water "Sairme" was issued for a period of one year to mineral water bottling company - LTD "Sairme Mineral Waters", that for mineral water "Nabeghlavi" was issued for the same to mineral water bottling company - JSC "Healthy Water", and right of use of appellation of origin of mineral water "Borjomi" was issued for a period of one year to LTD "IDS Borjomi Beverages Company"

On the basis of the Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration, in 2012, 5 appellations of origin were granted protection and extended to Georgia.

## ადგილწარმოშობის დასახელებებსა და გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით 2012 წელს საქპატენტში შემოსული განაცხადებისა და რეგისტრაციების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS AND REGISTRATIONS FILED WITH SAKPATENTI IN 2012 IN CONNECTION WITH APPELLATIONS OF ORIGIN AND GEOGRAPHICAL INDICATIONS

| ობიექტები<br>OBJECTS | განაცხადები<br>APPLICATIONS | რეგისტრაცია<br>REGISTRATION |
|---|---|---|
| ადგილწარმოშობის დასახელება<br>APPELLATION OF ORIGIN | 0 | 1 |
| გეოგრაფიული აღნიშვნა<br>GEOGRAPHICAL INDICATION | 0 | 14 |
| ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე შემოტანილი ადგილწარმოშობის დასახელებები<br>APPELLATION OF ORIGIN REGISTERED ON THE BASIS OF LISBON AGREEMENT | 6 | 5 |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება<br>RIGHT OF USE OF APPELLATION OF ORIGIN | 123 | 115 |
| „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების დაცვის შესახებ" შეთანხმების საფუძველზე მიღებული განაცხადები<br>APPLICATIONS RECEIVED ACCORDING TO THE "AGREEMENT BETWEEN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA ON PROTECTION OF GEOGRAPHICAL INDICATIONS OF AGRICULTURAL PRODUCTS AND FOODSTUFFS" | – | 3052 |

## 2008-2012 წლებში ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციის მოთხოვნით მიღებული განაცხადების რაოდენობა

## NUMBER OF APPLICATIONS RECEIVED ACCORDING TO YEARS IN 2008-2012 REQUESTING REGISTRATION OF APPELLATIONS OF ORIGIN AND GEOGRAPHICAL INDICATIONS

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ადგილწარმოშობის დასახელება | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | APPELLATION OF ORIGIN |
| გეოგრაფიული აღნიშვნა | 0 | 0 | 0 | 16 | 0 | GEOGRAPHICAL INDICATION |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება | 0 | 0 | 0 | 141 | 123 | RIGHT TO USE THE APPELLATIONS OF ORIGIN |
| ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე მიღებული განაცხადები | 3 | 4 | 6 | 3 | 6 | APPELLATIONS OF ORIGIN RECEIVED ACCORDING TO THE LISBON AGREEMENT |



## 2008-2012 წლებში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები

## APPELLATIONS OF ORIGIN AND GEOGRAPHICAL INDICATIONS REGISTERED IN 2008-2012

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ადგილწარმოშობის დასახელება | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | APPELLATION OF ORIGIN |
| გეოგრაფიული აღნიშვნა | 0 | 0 | 0 | 2 | 14 | GEOGRAPHICAL INDICATION |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება | 0 | 0 | 0 | 141 | 115 | RIGHT OF USE OF APPELLATION OF ORIGIN |
| ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება | 5 | 0 | 7 | 10 | 5 | APPELLATIONS OF ORIGIN REGISTERED UNDER THE LISBON AGREEMENT |
| „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების დაცვის შესახებ" შეთანხმების საფუძველზე მიღებული განაცხადები | 0 | 0 | 0 | 0 | 3052 | APPLICATIONS RECEIVED ACCORDING TO THE "AGREEMENT BETWEEN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA ON PROTECTION OF GEOGRAPHICAL INDICATIONS OF AGRICULTURAL PRODUCTS AND FOODSTUFFS" |




- ადგილწარმოშობის დასახელება
  APPELLATION OF ORIGIN
- გეოგრაფიული აღნიშვნა
  GEOGRAPHICAL INDICATION
- ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება
  RIGHT TO USE THE APPELLATIONS OF ORIGIN
- ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება
  APPELLATIONS OF ORIGIN REGISTERED UNDER THE LISBON AGREEMENT
- „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების დაცვის შესახებ" შეთანხმების საფუძველზე მიღებული განაცხადები
  APPLICATIONS RECEIVED ACCORDING TO THE "AGREEMENT BETWEEN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA ON PROTECTION OF GEOGRAPHICAL INDICATIONS OF AGRICULTURAL PRODUCTS AND FOODSTUFFS"

# საავტორო უფლებები
# COPYRIGHT

საქპატენტი საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო საავტორო სამართლის ნორმებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებდა და კვლავ განაგრძობს ფართო საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საქმიანობას საავტორო და მომიჯნავე უფლებების საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ავტორებთან, ასევე, საავტორო უფლების სხვა მფლობელებთან.

საავტორო უფლების სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2012 წლის მანძილზე ჩატარდა არაერთი შეხვედრა ავტორებთან და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფებსა და გაერთიანებებთან. ამ შეხვედრების დროს, დაინტერესებული ავტორებისა და სხვა უფლებამფლობელების თხოვნით მიმდინარეობდა საავტორო სამართლის ნორმების განმარტება და პრაქტიკული საკითხების განხილვა, რომლებიც ეხებოდა როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლებების განხორციელებასა და უფლებების გადაცემას, ისე საავტორო ხელშეკრულებების გაფორმების, საავტორო ჰონორარის მიღების წესებსა და უფლებების დარღვევის სხვადასხვა შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენების შესაძლებლობებს.

2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ზემოაღნიშნულ საკითხებზე ჩატარებულია 1500-მდე ინდივიდუალური კონსულტაცია და განმარტებითი საუბარი.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სააგენტო საქპატენტს შეუერთდა 2001 წელს. მას შემდეგ, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დეპონირებუ-

Sakpatenti, within the frames established by the legislation of Georgia and norms of international copyright law, has continued active consultation and educational activities concerning the copyright and related rights with authors as well as other holders of copyright.

In 2011, for the purpose of raising awareness in the copyright, a number of meetings took place with various groups and associations of authors and holders of neighbouring rights. During these meetings, upon the request of interested authors and other right holders, legal norms were explained and practical issues were considered, related to the enforcement of copyright and related rights and assignation, as well as preparation of a copyright agreement, the rule of collection of royalties and possibilities of taking measures provided for by the law in various cases of infringement of rights.

By December 31, 2012, up to 1500 individual consultations and explanatory conversations were offered regarding the above-mentioned issues.

The Agency for Protection of Copyright and Neighboring Rights joined Sakpatenti in 2001. Since that period, by January 1, 2013, 5605

ლია და გაცემულია შესაბამისი მოწმობა 5605 ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე.

2012 წელს, ავტორთა და უფლებამფლობელთა განცხადების საფუძველზე, დეპონირებულია 459 ნაწარმოები და გაცემულია შესაბამისი დეპონირების მოწმობა. ავტორებისა და უფლებამფლობელების მიერ დეპონირებული ყველა ნაწარმოები ინახება საქპატენტში, საავტორო უფლებების დაცვის განყოფილების არქივში.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. აღნიშნული ცვლილებით, დეპონირებას მიენიჭა უფრო მტკიცე სამართლებრივი სტატუსი. თუ კანონის ძველი რედაქციით, დეპონირება არ ადასტურებდა ავტორობას, განხორციელებული ცვლილების შედეგად, განმცხადებელს ენიჭება პირობითი საავტორო უფლებები, რაც ზრდის განმცხადებლების მხრიდან ნაწარმოებების დეპონირების ინტერესს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საავტორო უფლებების წარმოშობისათვის ნაწარმოებების დეპონირება არ არის აუცილებელი, ვინაიდან მათზე საავტორო უფლება წარმოიშვება მათი შექმნის მომენტიდან.

literary and artistic works have been deposited and relevant certificates are issued.

Upon the request of authors and right holders, in 2012, 459 works were deposited and relevant deposition certificates were issued. All works deposited by authors and right holders are stored in the archives of the Copyright Law Protection Section of Sakapenti.

According to the "Law of Georgia on Copyright and Neighbouring Rights", a person indicated in the deposition certificate is deemed as the author/holder of copyright of the work, unless otherwise proved. By virtue of the amendments, deposition acquired a stronger legal status. By the older version of the Law, deposition did not certify authorship, whereas, according to the amendments, an applicant is granted conventional copyright, which increases the interest of applicants in deposition. It should be noted that for the accrual of copyright it is not necessary to deposit works, as copyright arises from the moment of their creation.





ისმო-ს, CISAC-ისა და IFRRO-ს რეგიონული სემინარი საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე, თბილისი
WIPO, CISAC, IFFRO Conference on Copyright Protection in Tbilisi

## ნაწარმოების დეპონირება (2008-2012)
## DEPOSITION OF WORKS (2008-2012)

| | | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტერატურული ნაწარმოებები | ლიტერატურული ნაწარმოები | 35 | 177 | 86 | 115 | 59 | LITERARY WORKS | LITERARY WORKS |
| | წიგნი, ბროშურა | 49 | 105 | 2 | 2 | 4 | BOOK, BOOKLET | |
| | სცენარი, სინოფსისი | 55 | – | 74 | 95 | 58 | SCENARIOS, SYNOPSIS | |
| | კომპიუტ. პროგრამა | 16 | 19 | 19 | 24 | 11 | COMPUTER PROGRAM | |
| | აღწერილობა | 59 | – | 6 | 6 | 21 | DESCRIPTION | |
| მეცნიერება | სამეცნიერო ნაშრომი | 116 | – | 39 | 50 | 46 | SCIENTIFIC PAPER | SCIENCE |
| | სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი | 7 | – | 22 | 13 | 17 | SCIENTIFIC METHODICAL WORK | |
| | მეთოდური ნაშრომი | – | – | 56 | 59 | 66 | METHODICAL WORK | |
| | სამეცნიერო სტატია | – | 115 | 5 | 14 | 9 | SCIENTIFIC ARTICLE | |
| | სხვა | 8 | – | – | 2 | 1 | OTHER | |
| მუსიკალური ნაწარმოები | | 51 | 33 | 39 | 39 | 53 | MUSICAL WORK | |
| აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები | | 30 | 9 | 12 | 10 | 7 | AUDIOVISUAL WORK | |
| სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 3 | 26 | 21 | 10 | 2 | VISUAL ARTS | FINE ARTS |
| | ფერწერა | 1 | – | 17 | – | – | PAINTING | |
| | ქანდაკება | 1 | – | 7 | – | – | SCULPTURE | |
| | დიზაინი | – | – | 6 | – | 37 | DESIGN | |
| | ესკიზი | 19 | – | 5 | – | 5 | SKETCH | |
| დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნება | | 11 | 15 | 2 | 5 | 9 | DECORATIVE APPLIED OR MONUMENTAL | |
| ლოგო | | 1 | – | – | 12 | 6 | LOGO | |
| არქიტექტურა, ქალაქთმშენებლობა | | 27 | 19 | 25 | 4 | 5 | ARCHITECTURE, TOWN-PLANNING | |
| ფოტოგრაფია | | 3 | 2 | 7 | 6 | 6 | PHOTOGRAPHY | |
| მონაცემთა ბაზა | | 11 | 6 | – | 32 | 3 | DATABASE | |
| გადამუშავებული ნაწარმოები | | 7 | 9 | 2 | – | 10 | DERIVED WORK | |
| შედგენილი ნაწარმოები | | 14 | 1 | 15 | 19 | 19 | COMPILED WORK | |
| სახელმძღვანელო | | – | 6 | – | 4 | 5 | MANUAL | |
| სულ | | 566 | 487 | 538 | 496 | 459 | TOTAL | |

# დავები
# DISPUTES

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე ექსპერტიზასთან დაკავშირებით წარმოქმნილ დავებს კოლეგიური წესით განიხილავს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატა, რომლის თავმჯდომარეა საქპატენტის თავმჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატა ამოქმედდა 1998 წელს. ამ ხნის განმავლობაში, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემოსულია და განხილულია 1700-მდე სააპელაციო საჩივარი.

წინა წლების მსგავსად, 2012 წელს საქპატენტის სააპელაციო პალატაში შემოსული დავების უმრავლესობას სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები შეადგენდა, რაც მიუთითებს აღნიშნული ობიექტებისადმი საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესზე.

2012 წელს საქპატენტში შემოვიდა 154 განმცხადებლისა და 22 მესამე პირის სააპელაციო საჩივარი, სულ შემოვიდა 176 სააპელაციო საჩივარი. აქედან 2 – გამოგონებაზე, 2 – სასარგებლო მოდელზე, 3 – დიზაინზე და 146 სასაქონლო ნიშანზე. განხილულ იქნა 162 საჩივარი, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 103,

Under the legislation of Georgia, the Chamber of Appeals of the National Intellectual property Center of Georgia Sakpatenti hears disputes on the examination of the industrial property subject-matter. Chairman of Sakpatenti is the Chairman of the Chamber of Appeals.

It should be noted that Chamber of Appeals began functioning at Sakpatenti in 1998. During this period, by January 1, 2013, up to 1700 appeals have been submitted and heard.

As in the previous years, in 2012 too, the majority of appeals filed with the Chamber of Appeal of Sakpatenti dealt with issues linked with examination of trademarks, which indicates the special interest of the public in this subject-matter.

In 2012, 154 appeals from applicants and 22 from third parties were filed with Sakpatenti, in total 176 appeals. Of these, 2 – for inventions, 2 – for utility models, 3 – for designs and 146 – with respect to trademarks. 162 appeals were heard, of which 103 appeals were upheld fully, 3 appeals – partially, and the remaining 56 appeals were refused.

The decision of the Chamber of Appeals of Sakpatenti and examination can

**სააპელაციო პალატაში შემოსული და განხილული აპელაციების რაოდენობა**

**NUMBER OF APPEALS FILED WITH AND CONSIDERED BY THE CHAMBER OF APPEALS**

| ობიექტები SUBJECT-MATTERS | | 2008 | | 2009 | | 2010 | | 2011 | | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. |
| გამოგონება INVENTION | განაცხ. APPLIC. | 1 | - | 3 | 2 | 4 | 7 | | | 2 | 2 |
| | III პირი PARTY | | | | | | | 1 | 1 | | |
| სასარგებლო მოდელი UTILITY MODEL | განაცხ. APPLIC. | | | | | 4 | | | 1 | | |
| | III პირი PARTY | | | | | | | 1 | | 2 | 3 |
| დიზაინი DESIGN | განაცხ. APPLIC. | | | | | | | 4 | 3 | 2 | 3 |
| | III პირი PARTY | | | | | | | | | 1 | 1 |
| სასაქონლო ნიშნები TRADEMARKS | განაცხ. APPLIC. | 106 | 92 | 89 | 56 | 126 | 164 | 113 | 137 | 150 | 130 |
| | III პირი PARTY | 24 | 14 | 30 | 12 | 36 | 32 | 33 | 40 | 19 | 23 |
| სულ TOTAL | განაცხ. APPLIC. | 107 | 92 | 92 | 58 | 134 | 171 | 117 | 141 | 154 | 135 |
| | III პირი PARTY | 24 | 14 | 30 | 12 | 36 | 32 | 35 | 41 | 22 | 27 |

ნაწილობრივ – 3, ხოლო დანარჩენ 56 სააპელაციო საჩივარზე გამოტანილ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება.

საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატისა და ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ადმინისტრაციული წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. აღსანიშნავია, რომ დღემდე სასამართლოში გასაჩივრებულია საქპატენტის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე

be appealed at the board of administrative action of Tbilisi City Court. It is noteworthy that to present the decisions of Sakpatenti on acquisition of rights in industrial property subject-matters (invention, utility model, design, trademark) have been appealed at the court.

In 2012 too, the majority of appeals filed with the Chamber of Appeals of Sakpatenti dealt with issues linked with examination of trademarks, as this subject-matter is most widely-used in

## სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა
## NUMBER OF DECISIONS TAKEN BY THE CHAMBER OF APPEALS

| ობიექტები SUBJECT-MATTERS | | 2008 | | | 2009 | | | 2010 | | | 2011 | | | 2012 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED |
| | | სრული COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრული COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრული COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრული COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრული COMPLETE | ნაწილ. PART. | |
| გამოგონება INVENTION | განმცხ. APPLIC. | | | | | | 2 | 2 | | 5 | | | | 1 | | 1 |
| | III პირი PARTY | | | | | | | | | | 1 | | | | | |
| სასარგებლო მოდელი UTILITY MODEL | განმცხ. APPLIC. | | | | | | | | | | | | 1 | | | |
| | III პირი PARTY | | | | | | | | | | | | | 2 | | 1 |
| სამრეწველო ნიმუში INDUSTRIAL DESIGN | განმცხ. APPLIC. | | | | | | | | | | | 1 | 2 | 1 | | 2 |
| | III პირი PARTY | | | | | 2 | | | | | | | | | | 1 |
| სასაქონლო ნიშნები TRADEMARKS | განმცხ. APPLIC. | 68 | 1 | 23 | 38 | 4 | 14 | 114 | 2 | 16 | 117 | 4 | 16 | 97 | 2 | 31 |
| | III პირი PARTY | 5 | | 9 | 8 | 1 | 3 | 6 | 2 | 24 | 3 | - | 37 | 2 | 1 | 20 |
| სულ TOTAL | განმცხ. APPLIC. | 68 | 1 | 23 | 38 | 4 | 16 | 116 | 2 | 21 | 117 | 5 | 19 | 99 | 2 | 34 |
| | III პირი PARTY | 5 | | 9 | 8 | 3 | 3 | 6 | 2 | 24 | 4 | - | 37 | 4 | 1 | 22 |

(გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი) უფლებების მოპოვებას.

2012 წელს სასამართლოში განხილული დავების უმრავლესობა კვლავ სასაქონლო ნიშნებს ეხებოდა, რადგან აღნიშნული ობიექტი ყველაზე ფართოდ გამოიყენება ქართულ სამეწარმეო და კომერციულ საქმიანობაში. აქვე უნდა ითქვას, რომ გასულ წლებთან შედარებით მოიმატა გამოგონებებსა და დიზაინებთან დაკავშირებულმა დავებმაც.

Georgian entrepreneurial and commercial activity. AS compared with the previous years, the number of disputes linked with inventions and designs increased.

It should be noted that the decision of Sakpatenti with respect to the deposition of works protected by copyright have not been appealed at the court, which is explained by the fact that the deposition of the works protected by copyright with Sakpatenti is not the ground for the accrual of copyright.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში არ გასაჩივრებულა საქპატენტის გადაწყვეტილება საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების დეპონირებასთან დაკავშირებით, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების საქპატენტში დეპონირება არ წარმოადგენს საავტორო უფლებების წარმოშობის საფუძველს და ადასტურებს მხოლოდ დეპონირების ფაქტს.

გასულ წელს საქპატენტი მონაწილეობდა 32 სასამართლო განხილვაში, აქედან: სასაქონლო ნიშნებზე უფლებების მოპოვებას ეხებოდა 24, გამოგონებაზე – 2, სასარგებლო მოდელზე – 1, დიზაინზე – 1, ხოლო საქპატენტის მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სასაქონლო ნიშანსა და გამოგონებაზე უფლებათა გადაცემასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებებს – 2. აღსანიშნავია, რომ სასამართლო დავების უმრავლესობა საქპატენტის სასარგებლოდ გადაწყდა, სასამართლოს მიერ საქპატენტის მიმართ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 7 შემთხვევაში, სრულად დაკმაყოფილდა 1 შემთხვევაში, ხოლო ორ განხილვაში საქპატენტი ცნობილ იქნა არასათანადო მოპასუხედ.

Last year Sakpatenti participated in 32 hearings, of which 24 were linked with acquisition of rights in trademarks, 2 – with inventions, 1 – with utility model, 1 - with design, and 2 – with activities carried out by Sakpatenti in the process of administrative proceeding in connection with transfer of rights on trademarks and inventions. The majority of the disputes were settled in favour of Sakpatenti, 7 appeals against Sakpatenti were upheld partially by the court, and 1 was upheld fully. In 2 hearings Sakpatenti was regarded as an improper defendant.



საქპატენტის სააპელაციო კოლეგიის სხდომა
Meeting of Sakpatenti Chamber of Appeals

# კანონშემოქმედება
# LAWMAKING

2012 წლის განმავლობაში, საქართველოს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

- 2012 წლის 19 სექტემბრის ცვლილებებით „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 28 თებერვლის №88 ბრძანებულებაში შევიდა შემდეგი ხასიათის ცვლილება: რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და/ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების მქონე პირს მიეცა შესაძლებლობა რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით ნიშანდებულ პროდუქტზე დამატებით გამოიყენოს სპეციალური ნიშანი, რომელიც დაადასტურებს, რომ პროდუქტი წარმოადგენს რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნას ან ადგილწარმოშობის დასახელებას. ნიშნის გამოყენება შეეძლება ნებაყოფლობით ყველა იმ პირს, რომელიც დადგენილი წესით მოიპოვებს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლებას. ზემოაღნიშნული ნიშნების დამტკიცების უფლებამოსილება მიენიჭა სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს".

In 2012 the following amendments were made to intellectual property legislation:

- By amendments of September 19, 2012, the following amendment was made to the Decree N 88 of the President of Georgia of February 28, 2002, Regarding Measures Related to the Entry into Force of the Law of Georgia "On Appellations of Origin and Geographical Indications of Goods": the person entitled to use a registered appellation of origin and/or geographical indication was given an opportunity to use additionally on the goods bearing a registered appellation of origin or geographical indication a special mark, certifying that the goods represent a registered appellation of origin or geographical indication. Any person who acquires the right to use the registered appellation of origin or geographical indication by approved rule shall be entitled to use the mark. LEPL National Intellectual Property Center Sakpatenti was authorized to approve the above-mentioned marks.

▪ 2012 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით ცვლილება შევიდა „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" თავმჯდომარის 2011 წლის 12 იანვრის №01 ბრძანებაში.

ზემოაღნიშნული ცვლილებით „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 მაისის №223 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე, რეგისტრირებულ პატენტრწმუნებულებს არ შეუწყდათ უფლებამოსილება 2013 წლის 1 იანვრიდან და მიეცათ შესაძლებლობა, სტატუსის შეუწყვეტლად, განაგრძონ საქმიანობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში და ორი წლის ვადაში გაიარონ ატესტაცია.

▪ By Order of December 27, 2012, the Order N01 of the Chairman of National Intellectual Property Center Sakpatenti of January 12, 2011 approval of the Statute on Patent Attorneys of Georgia was amended.

On the basis of the amendment, the authority of patent attorneys registered son the basis of the Statute on Patent Attorneys approved by Order N223 of the President of Georgia of May 8, 2002, was not terminated from January 1, 2013 and were given an opportunity, without termination of their status, to continue activities in the intellectual property sphere and pass certification during two years.

# საერთაშორისო ურთიერთობები
# INTERNATIONAL RELATIONS

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით 2012 წელიც, წინა წლის მსგავსად, გამოირჩეოდა მრავალი ახალი ინიციატივითა და პროექტით.

გაგრძელდა მუშაობა საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით სხვადასხვა ქვეყანასთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით.

გასული წელი აღსანიშნავი იყო იმით, რომ 1 აპრილს ძალაში შევიდა შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შესახებ". ეს შეთანხმება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მექანიზმს ევროპის ბაზარზე ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ქმედითი დაცვისათვის. ის, აგრეთვე, ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიაზე ევროპაში რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვას.

მნიშვნელოვანია, რომ საქპატენტს

As previous years, 2012 was distinguished by numerous new initiatives and projects in the direction of international relations in intellectual property field. With the support of the Government of Georgia and international organizations, work was continued for strengthening bilateral relations with various countries.

The reporting year was also notable for the fact that the Agreement between the European Union and Georgia on Protection of Geographical Indications of Agricultural Products and Foodstuffs entered into force on 1 April. This Agreement is a very significant mechanism for effective protection of one of the major incomes of Georgia's export – agricultural products on the European market. It will also facilitate protection of geographical indications registered in Europe on the territory of Georgia.

It is significant that Sakpatenti is authorized to implement necessary measures for







ისმო-ს დიპლომატიური კონფერენცია აუდიო-ვიზუალური შესრულებების დაცვის თემაზე, პეკინი, ჩინეთი
WIPO Diplomatic Conference on Audiovisual Performances in Beijing, China

მინიჭებული აქვს უფლებამოსილება სხვა ქვეყნებში განახორციელოს საქართველოში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციისა და დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები. 2012 წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების გასაფორმებლად ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებთან (თურქეთი, ჩინეთი) და დსთ-ს სივრცეში შემავალ ქვეყნებთან (ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი). დაიგეგმა რამდენიმე ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში, ბელარუსში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთსა და რუსეთში.

2012 წელსაც საქპატენტის საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენდა მესამე ქვეყნებთან ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული ხელშეკრულებების განახლება და ახალი ხელშეკრულებების გაფორმება.

საქართველოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, წლის მანძილზე განხორციელდა ერთობლივი პროექტები.

მემორანდუმების გაფორმების მიზნით, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები შვედეთის, ავსტრიის, ყაზახეთის, მოლდოვასა და თურქეთის საპატენტო უწყებებთან. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ინსტიტუციური კოორდინაციის მექანიზმების დანერგვისა და ახალი პროექტების განხორციელების მიზნით, 2012 წელს ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება.

## ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო)

2012 წელი გამოირჩეოდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (ისმო) აქტიური თანამშ-

registration and protection of an appellation of origin and geographical indication registered in Georgia abroad. For this purpose in 2012 negotiations were under way for the purpose of conclusion of bilateral agreements on mutual recognition and protection of geographical indications with non-member countries of the EU (Turkey, China), as well as the CIS space (Belarus, Kazakhstan, Kyrgyzstan, Uzbekistan, Azerbaijan and Armenia). Several official visits were planned in Ukraine, Belarus, Kazakhstan, Kyrgyzstan, Uzbekistan and Russia.

Conclusion and renewal of existing treaties on intellectual property protection with third countries remains a priority of Sakpatenti in 2012 too.

On the basis of memorandums of understanding, signed with various educational institutions and organizations of Georgia, during the year joint projects were implemented directed towards the promotion of intellectual property protection.

For the purpose of concluding similar memorandums, negotiations were under way with patent offices of Sweden, Austria, Kazakhstan, Moldova and Turkey.

To introduce institutional coordination mechanisms and implement new projects in the field of intellectual property, different activities were implemented in 2012.

## WORLD INTELLECTUAL PROPERTY ORGANIZATION (WIPO)

The year 2012 was noteworthy for the active cooperation with the World Intellectual Property Organization (WIPO). Georgia has been continuing its work through 2012 as the Coordinator of the WIPO Regional Group elected as of September 28, 2011. The group consists of the Caucasian, Central Asian & Eastern European Coun-

რომლობით. საქართველომ გააგრძელა მუშაობა ისმო-ს რეგიონული ჯგუფის კოორდინატორის სტატუსით, რომელსაც ასრულებს 2011 წლის 28 სექტემბრიდან. ჯგუფი შედგება კავკასიის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, რომელშიც შედიან: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, ყირგიზეთი, ყაზახეთი, რუსეთის ფედერაცია, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი. საანგარიშო პერიოდში საქართველო გამოდიოდა რა რეგიონული ჯგუფის სახელით, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ახმოვანებდა და მხარს უჭერდა ჯგუფში შემავალი ქვეყნების ინიციატივებს. ერთობლივი ძალისხმევისა და კოორდინაციის მეშვეობით, წარმატებით იქნა დაძლეული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სფეროში არსებული არაერთი პრობლემა.

2012 წელს, სხვადასხვა ტრეინინგის და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების მეშვეობით, განხორციელდა 2011 წელს საქპატენტსა და ისმო-ს შორის ხელმოწერილი თანამშრომლობის ორი ოქმი – ტექნოლოგიებისა და ინოვაციის ხელშეწყობის ცენტრების (TISC) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და ისმო-ს სამრეწველო საკუთრების ავტომატიზაციის სისტემის დანერგვის (IPAS) შესახებ.

გარდა ამისა, გასულ წელს ისმო-ს მხარდაჭერით საქპატენტმა ჩაატარა არაერთი ღონისძიება, კერძოდ:

tries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Kyrgyzstan, Kazakhstan, Russian Federation, Tajikistan, Turkmenistan, Ukraine and Uzbekistan. During the reporting year Georgia on behalf of the Regional Group continued defending common interests and voiced and supported initiatives of the member countries of the group. Through joint efforts and coordination, the group achieved a common goal in responding to the challenges in the area of intellectual property rights protection.

Agreement to establish and support Technology and Innovation Support Centers (TISCs) and Cooperation Agreement on introduction of WIPO Industrial Property Automation System (IPAS) Software signed between Sakpatenti and WIPO in 2011 were implemented in 2012 through different trainings and awareness raising activities.

Along with this, last year Sakpatenti organized and participated in a series of events, with the support of WIPO, namely:

On April 11-12 an Inter-regional Workshop on Technology Transfer Issues, jointly organized by the WIPO and Sakpatenti, took place in Tbilisi, which was attended by representatives of technology transfer centres of 18 countries, interna-



ისმო-ს რეგიონული სემინარი ტექნოლოგიების გადაცემის საკითხებზე თბილისში

Regional Working Group Meeting on Tech-Transfer Issues organized by WIPO in Tbilisi



ისმო-ს ტექნოლოგიებისა და ინოვაციის ხელშეწყობის ცენტრების (TISC) სამუშაო შეხვედრა

TISC workshop organized by WIPO

11-12 აპრილს ისმო-სა და საქპატენტის ორგანიზებით, ტექნოლოგიების გადაცემის საკითხებზე თბილისში გაიმართა რეგიონული სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 18 ქვეყნის ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრების თანამშრომლებმა, საერთაშორისო ექსპერტებმა, ასევე, საქპატენტის და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებმა. სემინარზე იმსჯელეს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ტექნოლოგიების გადაცემის პრობლემების შესახებ. ისმო-ს ექსპერტებმა სემინარის მონაწილეებს მისცეს გარკვეული რეკომენდაციები და გაუზიარეს გამოცდილება ტექნოლოგიების გადაცემის საკითხებში.

24-25 სექტემბერს ისმო-სა და საქპატენტის ორგანიზებით, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის ხელშემწყობი ცენტრების ჩამოყალიბების პროექტის ფარგლებში, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „ინოვაციის მხარდაჭერა ტექნოლოგიური ცოდნის წვდომის მეშვეობით: საპატენტო ინფორმაციის საძიებო სტრატეგიები”. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქპატენტის თანამშრომლები და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა დამსწრეებს გააცნეს საპატენტო ინფორმაციის წვდომის მექანიზმები და მონაცემთა ბაზების გამოყენების თავისებურებანი. განხილულ იქნა რამდენიმე აქტუალური

tional experts, representatives of Sakpatenti and higher educational institutions. At the workshop issues of technology transfer in countries in transition were discussed. Experts from the World Intellectual Property Organization shared with participants certain recommendations for development of a WIPO Tool on Technology Transfer and relevant experience.

On September 24-25 Sakpatenti in cooperation with WIPO organized a national TISC workshop on Innovation Support through Access to Technological Knowledge (Patent Information Search Strategies). Sakpatenti staff members and representatives of higher educational institutions participated in the workshop. The invited foreign experts familiarized the participants with mechanisms of access to patent information and peculiarities of use of databases. During two days a number of key issues were discussed, among them: supporting innovative activities in the intellectual property field, role of patent information in supporting innovation, concepts in technology search, strategies for efficient patent searching and Access to Commercial Patent Information (ASPI pro-





საქპატენტის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა“
International conference on the protection of Geographical Indications on the occasion of 20th Anniversary of SAKPATENTI

## საერთაშორისო კონფერენცია
## გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა

## INTERNATIONAL CONFERENCE
## ON THE PROTECTION OF GEOGRAPHICAL INDICATIONS AND APPELLATIONS OF ORIGIN

საკითხი, მათ შორის: ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა, საპატენტო ინფორმაციის როლი ინოვაციის ხელშეწყობაში, ტექნოლოგიების ძიების კონცეფციები, ეფექტური საპატენტო ძიების სტრატეგიები და წვდომა კომერციულ საპატენტო ინფორმაციაზე (ASPI-ს პროგრამა), სამეცნიერო ლიტერატურასა და ტექნიკურ ჟურნალებზე (ARDI-ს პროგრამა).

საქპატენტის დაარსების 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 12-14 ნოემბერს საქპატენტისა და ისმო-ს ორგანიზებით, თბილისში გაიმართა ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის თემაზე. კონფერენცია მიზნად ისახავდა გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის მექანიზმების თანამედროვე მიდგომებისა და მიღწევების გაზიარებას. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს 20 ქვეყნის საპატენტო უწყებების წარმომადგენლებმა, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა. საქართველოში ჩამოვიდნენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები აშშ-დან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, ისრაელიდან, აზერბაიჯანიდან, ბელარუსიდან, მოლდოვადან, ყირგიზეთიდან, სომხეთიდან, რუმინეთიდან, თურქეთიდან, უნგრეთი-

gram) program and Scientific Literature and Technical Journals (ARDI program).

On the occasion of the 20th anniversary of the establishment of Sakpatenti, on November 12-14 Sakpatenti and the WIPO held a joint international conference on the Protection of Geographical Indications and Appellations of Origin in Tbilisi. The aim of the event was to share experience, modern approaches and achievements in the protection of geographical indications and appellations of origin. The conference was attended by representatives of patent offices of 20 countries, as well as international and local experts in the field of protection of geographical indications and appellations of origin. The world's leading specialists from USA, Germany, Switzerland, Israel, Azerbaijan, Belarus, Moldova, Kyrgyzstan, Armenia, Romania, Turkey, Hungary and the Baltic states participated in the event.

On December 4-5, a sub-regional Seminar on the Protection of Copyright, Related Rights and Collective Management took place at the Radisson Hotel, Tbilisi with the support of WIPO. Co-organizers of the event were the Sakpatenti, the Georgian Copyright Association (GCA), the International Confederation of Societ-

დან და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან.

4-5 დეკემბერს სასტუმრო „რედისონ-ში", ისმო-ს მხარდაჭერით, გაიმართა რეგიონული სემინარი თემაზე: „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა და კოლექტიური მართვა". სემინარის თანაორგანიზატორები იყვნენ: საქპატენტი, საქართველოს საავტორო უფლებების ასოციაცია, ასევე, ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაცია (CISAC) და რეპროდუცირების უფლებების ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია (IFRRO). სემინარში მონაწილეობა მიიღეს: სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, რუსეთის, პოლონეთის, ლატვიის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ასოციაციების და საქართველოს სხვადასხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლებმა.

2012 წელს საქპატენტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ ისმო-ს მიერ ორგანიზებულ არაერთ ტრეინინგში, სხდომასა თუ საკომიტეტო შეხვედრაში, მათ შორის აღსანიშნავია:

- სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო ნიმუშებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების კანონის მუდმივმოქმედი კომიტეტის (SCT) 26-ე სესია (1-3 თებერვალი, ჟენევა, შვეიცარია);
- ინტელექტუალური საკუთრებისა და გენეტიკური რესურსების, ტრადიციული ცოდნისა და ფოლკლორის სამთავრობათშორისო კომიტეტის მე-20 სესია (14-22 თებერვალი, ჟენევა, შვეიცარია);
- განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების კომიტეტის (CDIP) მე-9 სესია (7-11 მაისი, ჟენევა, შვეიცარია);
- ისმო-ს აკადემიის ტრეინინგი სამრეწველო საკუთრების შესახებ (20 ივნისი – 6 ივლისი, ჟენევა, შვეიცარია და სტრასბურგი, საფრანგეთი);
- რეგიონთაშორისი სემინარი ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საკითხებზე, რომელიც გაიმართა ისმო-სა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის

ies of Authors and Composers (CISAC) and the International Federation of Reproduction Rights Organization (IFRRO). The seminar was attended by representatives of copyright and related rights associations of Armenia, Azerbaijan, Ukraine, Russia, Poland, Latvia, as well as representatives of various interested offices of Georgia.

In 2012 Sakpatenti employees participated in a number of trainings, sessions, committee meetings organized by WIPO, including:

- Twenty-sixth session of the Standing Committee on the Law of Trademarks, Industrial Designs and Geographical Indications (SCT) (February 1-3, 2012, Geneva, Switzerland);
- Twentieth session of the Intergovernmental Committee on Intellectual Property and Genetic Resources, Traditional Knowledge and Folklore (IGC) (February 14-22, 2012 Geneva, Switzerland);
- Ninth session of the Committee on Development and Intellectual Property (CDIP), (May 7-11, Geneva, Switzerland,);
- WIPO Academy Training on Industrial Property (June 20 - July 6, Geneva, Switzerland, and Strasbourg, France).
- Interregional Seminar on Economic Issues of Intellectual Property (IPRs), organized by WIPO and the United Nations Economic Commission for Europe (UNECE) (September 11-12, Jerusalem, Israel);
- Regional symposium on Traditional Knowledge and Digitalization of Intangible Cultural Heritage (September 18-19, Budapest, Hungary);
- Inter-sessional Meeting on Limitations and Exceptions for Visually Impaired

(UNECE) ეგიდით (11-12 სექტემბერი, იერუსალიმი, ისრაელი);

- რეგიონული სიმპოზიუმი თემაზე: ტრადიციული ცოდნა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ციფრულ ფორმატში გადაყვანა (18-19 სექტემბერი, ბუდაპეშტი, უნგრეთი);
- სხდომა გამონაკლისებისა და შეზღუდვების შესახებ მხედველობის/ბეჭდვითი ინფორმაციის აღქმის შესაძლებლობის დარღვევების მქონე პირების ინტერესებისათვის (17-19 ოქტომბერი, ჟენევა, შვეიცარია);
- რეგიონთაშორისი სიმპოზიუმი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ (23-24 ოქტომბერი, კიშინიოვი, მოლდოვა);
- განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების კომიტეტის (CDIP) მე-10 სესია (12-16 ნოემბერი, ჟენევა, შვეიცარია);
- ისმო-ს საზაფხულო სკოლა ტექნოლოგიების გადაცემისა და კომერციალიზაციის შესახებ სამხრეთ აფრიკაში (25 ნოემბერი – 7 დეკემბერი, კეიპტაუნი, სამხრეთ აფრიკა);
- ლისაბონის სისტემის (ადგილწარმოშობის დასახელებები) განვითარების სამუშაო ჯგუფის მე-6 სესია (3-7 დეკემბერი, ჟენევა, შვეიცარია);
- აღსრულების საკონსულტაციო კომიტეტის მე-8 სესია (19-20 დეკემბერი, ჟენევა, შვეიცარია).

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, შემდეგი ღონისძიებები:

20-26 ივნისს საქპატენტის თავმჯდომარემ ირაკლი ღვალაძემ მონაწილეობა მიიღო ჩინეთში გამართულ დიპლომატიურ კონფერენციაში აუდიო-ვიზუალური შესრულებების დაცვის თემაზე, რომლის მიზანი იყო „აუდიო-ვიზუალური შესრულებების დაცვის შესახებ" საერთაშორისო შეთანხმების საბოლოო ტექსტის შემუშავება და მიღება. აღნიშნული შეთანხმება დამატებით სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს შექმნის აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე უფლებების მფლობელთათვის, მათ შორის, კინოსა

Persons/Persons with Print Disabilities (October 17-19, 2012, Geneva, Switzerland);

- Inter-regional Symposium on Intellectual Property Rights (IPRs), (October 23-24, Chisinau, Moldova)
- Tenth session of the Committee on Development and Intellectual Property (CDIP), (November 12-16, Geneva, Switzerland);
- WIPO Summer School on technology transfer and commercialization in South Africa (November 25- December 7, Cape Town, South Africa);
- Sixth session of the Working Group on the Development of the Lisbon System (Appellations of Origin) (December 3-7, Geneva, Switzerland);
- Eighth session of the Advisory Committee on Enforcement (December 19-20, Geneva, Switzerland).

The following events were also noteworthy:

On June 20-26 the Chairman of Sakpatenti Mr. Irakli Ghvaladze paid a visit to China to participate in the Diplomatic Conference on Protection of Audiovisual Performances. The objective of the conference was to elaborate and adopt the final text of the international Treaty on Audiovisual Performances. This treaty will provide additional mechanisms of legal protection for right holders of audiovisual works, including actors working in cinema and television.

On June 5-6, 2012, the WIPO Regional Seminar on Policy Issues of Intellectual Property took place in Cholpon-Ata, Kyrgyzstan, organized by WIPO and the State Service of Intellectual Property and Innovation under the Government of the Kyrgyz Republic. The event was linked to the

და ტელევიზიაში მოღვაწე მსახიობებისთვის.

5-6 ივნისს ქ. ჩოლპონატაში (ყირგიზეთი) ისმო-სა და ყირგიზეთის ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციის სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული სემინარი ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის საკითხების შესახებ. ამავე ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვის საკითხების სახელმწიფოთაშორისი საბჭოს პირველი სხდომაც. ღონისძიებაზე წარმოდგენილ მოხსენებაში განხილული იქნა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მიმდინარე რეფორმები და პრიორიტეტული მიმდინარეობები.

1 ოქტომბრიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით ჟენევაში გაიმართა ისმო-ს წევრი სახელმწიფოების 50-ე გენერალური ასამბლეა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ საქპატენტის თავმჯდომარის ირაკლი ღვალაძის ხელმძღვანელობით. ასამბლეის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ისმო-ს გენერალურ დირექტორთან ფრენსის გარისთან და ორმხრივი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო უწყების წარმომადგენლებთან.

17-18 დეკემბერს საქპატენტის თავმჯდომარემ ირაკლი ღვალაძემ მონაწილეობა მიიღო ისმო-ს გენერალური ასამბლეის 42-ე (22-ე რიგგარეშე) სხდო-

First Session of the Interstate Council for the Legal Protection and Enforcement of Intellectual Property (ICPEIP). The presentation delivered during the event dealt with the reforms in the intellectual property field in Georgia and progressive trends.

On October 1 to 9, 2012 the Fiftieth Series of Meetings of the Assemblies of the Member States of WIPO were held in Geneva. The delegation of Georgia took part in the meetings. In the framework of Assembly the meeting with Francis Gurry, Director General of WIPO and bilateral meetings with the representatives of patent offices took place.

On December 17-18 Chairman of Sakpatenti Mr. Irakli Ghvaladze took part in the Forty-Second (22nd Extraordinary) Session of the WIPO General Assembly. The main topic of the session was to convene a diplomatic conference in 2013 to adopt the treaty on limitations and exception for visually impaired persons/persons with print disabilities.

**EUROPEAN PATENT OFFICE (EPO)**

Strengthening of relations between the European Patent Office (EPO) is very significant for Sakpatenti, which is observable from 2010. In the framework of the Pro-





ბიოლოგიის სფეროს ექსპერტთა ტრეინინგი
Training for experts in biology

მის მუშაობაში, რომლის თემა იყო 2013 წელს დიპლომატიური კონფერენციის მოწვევა ხელშეკრულების დასადებად მხედველობისა და ბეჭდვითი ინფორმაციის აღქმის შესაძლებლობის დარღვევების მქონე პირების ინტერესებისათვის.

### ევროპის საპატენტო უწყება

საქპატენტისათვის მეტად მნიშვნელოვანია ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO) ურთიერთობების გაღრმავება, რომელიც 2010 წლიდან შეინიშნება. 2011 წლის 10 თებერვალს ქ. მიუნხენში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება, კერძოდ:

2012 წლის 27-29 თებერვალს საქპატენტში ჩატარდა ტრეინინგი თემაზე „ინტელექტუალური საკუთრება ინოვაციებისათვის". განხილულ იქნა ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციის, ბიზნესის დაგეგმვის (ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის ინტეგრაცია ბიზნესის განვითარების გეგმაში), ინტელექტუალური საკუთრების შეფასების, ლიცენზირებისა და დაფინანსების საკითხები.

2012 წლის 31 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით, საქპატენტისა და ევროპის საპატენტო უწყების ორგანიზებით, ბათუმში გაიმართა სემინარი თემაზე: „საპატენტო ინფორმაცია და მისი მნიშვნელობა", რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობისა და თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებმა. პრეზენტაციებით წარსდგნენ საქპატენტის თანამშრომლები და ევროპის საპატენტო უწყების მოწვეული ექსპერტები. სემინარზე ყურადღება დაეთმო საპატენტო ინფორმაციის ტიპების განხილვას, მათ მოპოვებას, შესაძლო გამოყენებასა და სამართლებრივ და კომერციულ ასპექტებს.

20 თებერვალს საქპატენტს ეწვია EPO-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი




ევროპის საპატენტო უწყების ტრეინინგი „ინტელექტუალური საკუთრება ინოვაციებისათვის", თბილისი
EPO Training on "IP for Innovation" in Tbilisi

gram of Co-operation, signed on February 10, 2011 in Munich, various events were held, namely:

On February 27-29, the seminar on "Intellectual Property for Innovation" took place at the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti. The meeting focused on the issues of intellectual property commercialization, business planning (integrating an IP strategy into a business development plan), intellectual property licensing, intellectual property valuation and financing.

From July 31 to August 1 Sakpatenti and the European Patent Office jointly organized seminar on Patent Information in Batumi, Georgia. Representatives of Sakpatenti, Batumi Shota Rustaveli State University, Kutaisi Akaki Tsereteli State University and Tbilisi Ilia State University participated in the seminar. Sakpatenti representatives and invited experts from the European Patent Office presented on the different issues around patent information. Attention was paid to the topics on the access, use and identification of the patent information types, legal and commercial aspects of patent information.

On February 20 Ms. Nina Formby, Head of International Affairs Department at

ნინა ფორმბი თანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და ახალი გეგმების დასახვის მიზნით.

25-30 მარტს საქპატენტის წარმომადგენლები ვიზიტით იმყოფებოდნენ გერმანიაში ილმენაუს, ლაიფციგისა და დრეზდენის საპატენტო ინფორმაციის ცენტრებში.

**აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყება**

2012 წელი საქპატენტისათვის აღსანიშნავი იყო აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან (USPTO) თანამშრომლობის გაღრმავებით. 2011 წლის 4 მაისს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას საქართველოში განაცხადების ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ტექნოლოგიების გადაცემის სისტემის განვითარების ხელშეწყობაში, სასწავლო პროგრამების განხორციელებას, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, უფლებების აღსრულების თანამედროვე პოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარებასა და სხვა, გაიმართა არაერთი კონსულტაცია და ტრეინინგი.

27-30 მარტს საქპატენტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო აკადემიის (GIPA) ტრეინინგში მადრიდის ოქმის განხორციელებისა და ადმინისტრირების შესახებ (ალექსანდრია, ვირჯინია).

19-23 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო უფლებების უწყების კონგრესის ბიბლიოთეკის მხარდაჭერით, საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმში საავტორო და მომიჯნავე უფლებების თემაზე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენდა გარკვეულ პლატფორმას საავტორო უფლებების ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების განვითარებისათვის ახალი გამოწვევების

EPO visited Sakpatenti for the purpose of fulfillment of obligations under the Program of Cooperation and outlining new plans.

On March 25-30 representatives of Sakpatenti visited the Patlib (Patent Information) centres in Ilmenau, Leipzig and Dresden, Germany.

**UNITED STATES PATENT AND TRADEMARK OFFICE (USPTO)**

The year 2012 was remarkable in terms of strengthening cooperation with the United States Patent and Trademark Office (USPTO). In the framework of the memorandum of understanding signed on May 4, 2011 number of consultations and trainings were held. The memorandum envisages support in assistance of launching the systems of electronic filing and technology transfer along with the capacity building of staff members, implementation of study programs, public awareness raising, intellectual property rights administration and development of modern policy and practice of enforcement of rights protection, deepening of cooperation in the direction of measures for improvement of legal protection of IP.

On March 27-30 Sakpatenti delegation participated in a training session at the Global Intellectual Property Academy (GIPA) on Madrid Protocol Implementation and Administration (Alexandria, VA).

On March 19-23, with the assistance of the United States Copyright Office, Library of Congress, Sakpatenti delegates participated in International Symposium on Emerging Issues in Copyright and Related Rights for Developing Countries and Countries with Economies in Transition in Washington, D.C., USA. At the symposium

საპასუხოდ. ღონისძიების ფარგლებში, საქპატენტის თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე შეხვდა აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების დირექტორს დევიდ კაპოსსა და აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის საავტორო უფლებების უწყების დირექტორს მარია პალანტეს. შეხვედრაზე განხილული იქნა მომავალი თანამშრომლობის საკითხები.

### თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან

2012 წელს გაგრძელდა თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მთელი რიგი პროექტების განხორციელების მიზნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტთან „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა" (USAID Economic Prosperity Initiative), ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამასა (CLDP) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ).

20 თებერვალს საქპატენტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების კერძო სექტორის განვითარების პროგრამასთან (GIZ) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნის გავრცელების ხელ-




მემორანდუმის ხელმოწერა GIZ-თან
სურათზე: ი. ღვალაძე და GIZ-ის პროგრამის დირექტორი იორგ ოეშლაგერი
Signing MOU with GIZ
On the Photo: Irakli Ghvaladze. Joerg Oelschlaeger, GIZ Programme Director

strategies and visions linked with copyright and related rights were discussed. The given event was a certain platform in strengthening the copyright infrastructure and capacities in response to these new challenges. During the event the Chairman of Sakpatenti met with Mr. David J. Kappos, Director of the United States Patent and Trademark Office, and Ms. Maria Pallante, Director and Register of Copyrights of United States Copyright Office, Library of Congress to discuss the future cooperation issues.

### COOPERATION WITH INTERNATIONAL DONOR ORGANIZATIONS

In 2012 cooperation continued with international donor organizations in a number of projects. Cooperation with the Economic Prosperity Initiative (EPI) of the United States Agency for International Development (USAID), Commercial Law Development Program (CLDP) of the Department of Commerce and German International Cooperation Society (GIZ) is especially noteworthy.

In 2012 the Technology Transfer Centre continued its activities on the basis of the memorandum of understanding signed between Sakpatenti and GIZ on February 20, 2012 to promote innovation and dissemination of knowledge in the field of intellectual property, with the active support of representatives of the public, private and academic sectors. Its main goal is to create an innovation environment in Georgia and to promote the commercialization process. Joint activities were planned and implemented in cooperation with GIZ, in particular:

On September 10-15, Georgian delegation visited Belarus and Lithuania. Georgian

შეწყობას, საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრმა საზოგადოების, კერძო და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების აქტიური მხარდაჭერის საფუძველზე, გააგრძელა საქმიანობა. მისი მთავარი ამოცანაა საქართველოში ინოვაციური გარემოს შექმნა და კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა. GIZ-თან თანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელდა ერთობლივი ღონისძიებები, კერძოდ:

10-15 სექტემბერს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით, საქართველოს დელეგაცია სამუშაო ვიზიტით ბელარუსსა და ლიტვას ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საქპატენტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლები. მათ საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ არსებულ გამოცდილებასა და წარმატებულ მაგალითებს ტექნოლოგიების გადაცემასა და ინოვაციების მართვაში. შეხვედრები გაიმართა ბელარუსის რესპუბლიკის ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრში, მეცნიერებათა აკადემიაში, ინოვაციურ ფონდში, მინსკის მაღალი ტექნოლოგიების პარკში, ასევე, ბიზნეს ინკუბატორებსა და კერძო კომპანიებში. ვიზიტის დასრულებისას, ორი ქვეყნის ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. შემდგომ დელეგაცია ჩავიდა ვილნიუსში, სადაც დაესწრო „Baltic Dynamics"-ის კონფერენციას, რომელიც მიზნად ისახავდა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, მცირე ბიზნესის მხარდაჭერასა და ტექნოლოგიების გადაცემის მაგალითების წარმოდგენას. კონფერენციები, რომლებიც 1995 წლიდან რიგრიგობით იმართება ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში, მრავალი უცხოელი თუ ადგილობრივი ექსპერტის ყურადღებას იპყრობს.

delegation consisted of representatives from various institutions: Sakpatenti, Tbilisi State University, Ilia State University, Shota Rustaveli National Science Foundation and Georgian Employers Association. During the visit participants familiarized with a number of organizations operating in innovation management or technology transfer issues. The meetings took place at Republican Center for Technology Transfer of Belarus, National Academy of Science of Belarus, High Tech Park Minsk, Belarusian Innovation Fund, City Technology Center, business incubators and representatives of private companies. Delegation members got familiar with Belarus model of innovation policy and the ways of successful technology transfer cases. By the end of the visit the memorandum of understanding was signed between the Republican Centre for Technology Transfer of Belarus and the Technology Transfer Center of Georgia. Parties agreed to set out objectives and action plan for future collaboration. After this, the Georgian delegation visited Vilnius to attend the Baltic Dynamics Conference. It is an annually organized Baltic countries initiative aiming at promotion of international cooperation in the fields of innovation, SMEs support and technology transfer. The Conference is organized since 1995 by Estonia, Latvia and Lithuania and attracts participants from a broad range of countries around the globe.

It should be noted that the process of formation of the system of electronic filing of applications began in 2010 with the support of the Economic Prosperity Initiative (EPI) of the United States Agency for International Development (USAID). At the first stage the analysis of the current business processes at Sakpatenti was planned

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2010 წელს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის" ხელშეწყობით, დაიწყო განაცხადების ელექტრონული წარდგენის სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. პირველ ეტაპზე, ინფორმაციის გაცვლისა და მისაწვდომობის გამარტივების მიზნით, განხორციელდა საქპატენტში მიმდინარე სამუშაო პროცესების ანალიზი და პროექტის განხორციელებისათვის არსებული რესურსების შეფასება. შემდგომი ეტაპი გაგრძელდა 2011-2012 წლებში და დასრულდა ახალი მონაცემთა ბაზის შემოწმება. სისტემა სრული დატვირთვით ამოქმედდება 2013 წლიდან. ელექტრონული ფაილინგის პლატფორმა ითვალისწინებს საქპატენტსა და მის პარტნიორებს შორის ურთიერთობების გამარტივებას და ეფექტურობის გაზრდას სპეციალიზირებული ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ვებტექნოლოგიებზე მომუშავე ინტელექტუალური საკუთრების განაცხადების მიღების, დამუშავებისა და აღრიცხვის თანამედროვე პროგრამულ გადაწყვეტას. სისტემაში რეალიზებულია არა მხოლოდ გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის ფუნქციები, არამედ საქპატენტის შიდა პროცედურებიც, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს განაცხადების განხილვისა და დამცავი დოკუმენტების გაცემის პროცესს როგორც



საქპატენტისა და CLDP-ის სემინარი „კონტრაფაქციულ ფარმაცევტულ პროდუქციასთან ბრძოლა", ბათუმი
Workshop organised by Sakpatenti and CLDP on Counterfeit Pharmaceutical Products in Batumi

for the purpose of their simplification and facilitation of information exchange/access. This process was completed and the next stage of the project continued in 2011-2012. The testing of the new database is completed and the system will be launched fully in 2013. The electronic filing system provides for simplification of relations between Sakpatenti and its partners and increasing of effectiveness by means of a specialized electronic program. The program represents an up-to-date web based program solution of intellectual property application filing, processing and recording. The system includes the functions of communication with external users as well as Sakpatenti internal procedures, which will significantly accelerate the procedures of application proceeding and granting titles of protection of both local and international applicants.

Cooperation with the US Department of Commerce, Commercial Law Development Program (CLDP) continued in 2012 in a number of activities which focused on programs to develop an institutional and legislative environment conducive to R&D commercialization, promote innovation and enforce IPR rights.

The cooperation directed at capacity building and experience sharing between Sakpatenti and its US partners is highly useful and has a continuous character.

On May 3-4 National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti in cooperation with the United States Commercial law Development Program (CLDP) of the Department of Commerce of USA organized a seminar on the issues of Innovation and Technology Transfer in Tbilisi. Experts from the United States, Sakpatenti officials, lawyers in Intellectual Property,

ადგილობრივი, ისე საერთაშორისო განმცხადებლებისათვის.

2012 წელს გაგრძელდა თანამშრომლობა აშშ-ს სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამასთან (CLDP) სხვადასხვა ღონისძიებით, რომელიც მიმართული იყო ინსტიტუციური და სამართლებრივი გარემოს განვითარების პროგრამებზე, რაც მიზნად ისახავს კვლევების კომერციალიზაციას, ინოვაციის ხელშეწყობასა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებას.

საქპატენტსა და ამერიკელ პარტნიორებს შორის გაგრძელდა თანამშრომლობა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების გრძელვადიანი პერსპექტივით.

3-4 მაისს თბილისში გაიმართა საქპატენტის და აშშ-ს სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ერთობლივი სემინარი ინოვაციისა და ტექნოლოგიების გადაცემის საკითხებზე. სემინარზე, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საქპატენტის ოფიციალურმა პირებმა, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მომუშავე იურისტებმა, საქართველოს უნივერსიტეტების, კერძო და ბიზნეს სექტორების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა (GIZ, USAID EPI, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში) და საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებმა, განიხილეს: ტექნოლოგიების გადაცემის უწყებების შექმნა და განვითარება; საქართველოში ტექნოლოგიების გადაცემის უწყებებში მართვის პერსონალის მომზადება; საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს კვლევების კომერციალიზაციას საქართველოში; სამეცნიერო, საქმიან და სამთავრობო წრეებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება კომერციალიზაციისა და ტექნოლოგიების გადაცემის სფეროში.

6-8 ივნისს ქ. ბათუმში საქპატენტმა და აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამამ

universities, private and business sector, international organizations (GIZ, USAID EPI, EC delegation to Georgia) and the Embassy of USA to Georgia participated in the seminar. The main topics were focused on: development, establishment and management of technology transfer offices and personnel; development of a legislative and regulatory framework conducive to technology transfer from academia to the business community, which will foster the commercialization of technologies in Georgia; development of a strategy for effective dialogue between academia and industry in the field.

On June 6-8 the seminar on "Identification and Interdiction of Counterfeit Medicines in Georgia" was organized by the National Intellectual Property Centre of Georgia Sakpatenti and Commercial Law Development Program (CLDP) of the US Department of Commerce in Batumi, Geor-




აშშ-ს მოსამართლე ედმუნდ სარგუსი CLDP-ის სემინარზე „სასამართლო დავები და გადაწყვეტილებები საავტორო უფლებებისა და სასაქონლო ნიშნების დაცვის სფეროში", სიღნაღი

US Judge Edmund Sargus on the workshop on Litigation and Adjudication of Copyright and Trademark Disputes organized by CLDP in Sighnagi

(CLDP) ჩაატარეს ერთობლივი სემინარი თემაზე: „კონტრაფაქციული ფარმაცევტული პროდუქციის ამოცნობა და აღკვეთა". აშშ-ს ექსპერტებთან ერთად, სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქპატენტის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლებისა და საგამოძიებო სამსახურების, პროკურატურისა და ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებმა. დღის წესრიგში იყო: მარეგულირებელი და აღმასრულებელი სააგენტოებისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, კონტრაფაქციული და ფალსიფიცირებული მედიკამენტებით ვაჭრობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური მეთოდებისა და ტაქტიკის გაცნობა; მომხმარებლის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები; ასევე, იმსჯელეს დიალოგის აუცილებლობაზე მთავრობასა და კერძო სექტორს შორის კონტრაფაქციული და ფალსიფიცირებული მედიკამენტების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით.

13-19 მარტს პიარ-აქციებიის ორგანიზებით შედგა სასწავლო ვიზიტი აშშ-ში საავტორო უფლებების საკითხებზე საქართველოს საავტორო უფლებების ასოციაციისა და საქპატენტის წარმომადგენლებისათვის. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და პრაქტიკა აღნიშნულ დარგში. პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, შემუშავებულ იქნა CLDP-ისა და საქპატენტის 2013 წლის თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა.

### ინსტიტუციური კოორდინაცია

ჩვენი უწყებისათვის პრიორიტეტულია ინსტიტუციური კოორდინაცია სამთავრობო უწყებებთან და აქტიური დიალოგი როგორც ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მფლობელებთან, ისე მოსარგებლეებთან, კერძოდ: საავტორო უფლებათა ასოციაციასთან, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან, უნივერსიტეტებთან, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს ბიზნეს ასო-



CLDP-ის სასწავლო ვიზიტის მონაწილეები, აშშ
Participants of the USA study trip organised by CLDP

gia. Representatives of Sakpatenti, Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia, Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia, Investigating Service of the Ministry of Finance of Georgia, Prosecutor's Office and pharmaceutical companies participated in the seminar. The discussion was focused on the topics such as: sharing knowledge and experience with regulatory and executive agencies, learning the most effective methods and tactics for combating trade in counterfeit medicine; customer protection and security issues; dialogue between the government and the private sector to identify and eliminate counterfeit medicines.

On March 13-19 CLDP organized a study trip to USA on Copyright Issues for Georgian Copyright Association and Sakpatenti representatives. Participants shared experience and best practices in the field. CLDP and Sakpatenti elaborated a plan of activities for 2013 according to the priority directions.

### INSTITUTIONAL COORDINATION

For our Office institutional coordination of Sakpatenti with various governmental

ციაციასთან და სხვა ორგანიზაციებთან. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ინტენსიური თანამშრომლობა საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან და ერთობლივი ღონისძიებები საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით. საგულისხმოა, რომ წინა წლებში, ავტორთა საზოგადოებასთან თანამშრომლობისა და საქპატენტის მხარდაჭერით ჩატარებული პიარ-აქციების ფონზე, ქართულ სახელოვნებო წრეებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტორთა საზოგადოების ცნობადობა. შედეგად, 2012 წლის განმავლობაში, საქართველოს ავტორთა საზოგადოებასა და მოსარგებლეებს შორის, მკვეთრად მოიმატა სალიცენზიო ხელშეკრულებების რაოდენობამ, ასევე, საგრძნობლად გაიზარდა საავტორო უფლებების დარღვევებზე სასამართლოებში წარმოებული საქმეების რაოდენობაც.

ინტელექტუალური საკუთრების დარგში, ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, 2012 წელს გრძელდებოდა საქპატენტის თანამშრომლობა როგორც სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. ამ მიზნით, 4-7 ივნისს თბილისში გაიმართა საქპატენტისა და საქართველოში ბატელის უნივერსიტეტის ფილიალის ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის ერთობლივი ტრეინინგი.

10-11 თებერვალს საქპატენტმა ბაკურიანში გამართა სემინარი ქართული მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის. სემინარზე ჟურნალისტებმა მიიღეს ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შესახებ, გაეცნენ საქპატენტის საქმიანობას, ასევე, ქართული ადგილწარმოშობის და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციისა და დაცვის მნიშვნელობასა და პროცედურებს.

ასევე, აღსანიშნავია საქპატენტის წარმომადგენლების მონაწილეობა ისეთ ღონისძიებებში, როგორიც იყო, მაგალითად:

- ლატვიის საპატენტო უწყების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება

agencies and active dialogue with intellectual property rights holders and users, namely, Georgian Copyright Association, Revenue Service of the Ministry of Finance, Universities, Ministry of Culture and Monuments Protection, Business Association of Georgia and other organizations is noteworthy. In this respect, intensive cooperation and joint activities with the Georgian Copyright Association for public awareness raising should also be mentioned.It is noteworthy that a close cooperation with the Georgian Copyright Association (GCA) and Sakpatenti and active PR campaigns during previous years significantly increased the number of licensing agreements between the Georgian Copyright Association and users, as well as public recognition of the Association in the Georgian art communities. According to the information provided by the Georgian Copyright Association (GCA), which represents authors in court, total number of cases during 2012 increased significantly.

For the purpose of raising awareness in IP field, Sakpatenti continued its cooperation with the academia, universities as well as mass media. On June 4-7 Sakpatenti and Batelle Memorial Institute organized a training for biological experts in Tbilisi.

On July 5-6 Sakpatenti in cooperation with the Grigol Robakidze University organized a conference on the "Contemporary problems of IP law" in Bazaleti, Georgia which addressed the main problematic issues in terms of IP and shared international expertise.

On February 10-11 Sakpatenti organized a training for mass media representatives in Bakuriani, Georgia and informed on the current Sakpatenti activities. Addition-

(8-9 მაისი), რომლის ფარგლებშიც გაიმართა კონფერენცია თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მენეჯმენტი". საქართველოს დელეგაციასა და ლატვიის ოფიციალურ პირებთან გამართულ შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში ქართული ბრენდების ეფექტურად დაცვის მექანიზმებზე.

- ასტანის V ეკონომიკური ფორუმი (ყაზახეთი, 22-24 მაისი), რომელშიც ყოველწლიურად მონაწილეობს მსოფლიოს 80 ქვეყნის 5000-მდე დელეგატი. ფორუმზე განიხილეს აქტუალური საკითხები და ინტელექტუალური საკუთრების როლი ეკონომიკურ განვითარებაში.
- საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. მოსკოვში ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური სამსახურის (როსპატენტი) XVI სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში „კანონმდებლობის გამყარება და აღსრულება ინტელექტუალური საკუთრების შედეგების იურიდიული დაცვისა და გამოყენების სფეროში" (10-11 ოქტომბერი). კონფერენციაზე განხილულ იქნა: საპატენტო უფლებების ობიექტების სამართლებრივი დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ექსპერტიზისა და საინოვაციო საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფა, ინდივიდუალიზაციის საშუალებების სამართლებრივი დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების შედეგებზე სახელმწიფოს უფლებების მართვის საკითხები, ასევე, შედავებებისა და განცხადებების განხილვა ადმინისტრაციული და სასამართლო წესით.

### ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

ევროკავშირთან საქართველოს „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში" (1996 წ.) და „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (EENP) სამოქმედო გეგმაში" გაწერილია ვალდებულებები,



ასტანის V ეკონომიკურ ფორუმზე
On the 5th Astana Economic Forum

ally journalists were familiarized with the importance of registration and protection of Georgian appellations of origin and geographical indications and relevant procedures.

It is noteworthy that Sakpatenti also took part in the following events:

- On 8-9 May, delegation of Sakpatenti visited Patent Office in Riga on the occasion of 20th anniversary of the Patent Office of Latvia. The conference was held on the topic of "Intellectual Property Rights Management". The effective protection of Georgian brands in the Baltic countries was discussed in the framework of the meetings held between the Georgian delegation and Latvian officials.
- On May 22-24 delegation of Sakpatenti paid a visit to Astana (Kazakhstan) in the framework of the 5th Astana Economic Forum. In the event 5000 delegates from 80 countries of the world participate annually. The forum discussed urgent issues and the role of intellectual property in economic development.
- On October 10-11, Sakpatenti representatives participated in the XVI Science and Practical Conference of Federal

რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში არსებული პრაქტიკის განვითარებასა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. ვალდებულებების ძირითადი მიმართულებებია: საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; ინსტიტუციონალური კონსოლიდაცია; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები; საქართველოში მეკობრული და ფალსიფიცირებული საქონლის წარმოების შესწავლა და უფლებების მქონე პირებთან ეფექტიანი დიალოგის წარმართვა.

საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (EEENP) პროცესითა და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით" (DCFTA) გათვალისწინებულ ურთიერთობებში და ENP-ის სამოქმედო გეგმისა და DCFTA რეკომენდაციების შესაბამისად, რეგულარულად აწვდის მას ინფორმაციას მიმდინარე საკანონმდებლო, საგანმანათლებლო და საკოორდინაციო საქმიანობებზე. აღნიშნული მიმართულებებისა და რეკომენდაციების შესრულების შედეგად, 2012 წლის დასაწყისში დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე". თბილისსა და ბრიუსელში საქპატენტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ შეთანხმების ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ქვეთავზე მო-




ისმო-ს რეგიონული სემინარი „ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკა", ჩოლპონატა, ყირგიზეთი.
WIPO Conference on Policy Issues in Cholpon-Ata, Kyrgyzstan

Service for Intellectual Property (ROSPATENT) "Enhancing Legislation and Enforcement in the Field of Legal Protection and Utilization of the Results of Intellectual Activity" in Moscow. Among the issues discussed at the Conference the main focus was placed on the different topics, among them legal protection of patent rights, informational support of examination and innovation, legal protection of the means of individualization, issues of management of the state rights to the results of intellectual activity, consideration of objections and appeals by administrative and judicial means.

**EU INTEGRATION PROCESS AND INTELLECTUAL PROPERTY PROTECTION**

The "Partnership and Cooperation Agreement" with the European Union (1996) and "European Neighborhood Policy (ENP) Action Plan" outlines obligations aimed at development of existing practice in Georgia and bringing it close to European standards. Main directions of obligations are: improving the legal framework; strengthening institutional consolidation; public awareness-raising activities; study of pirated and counterfeit goods production in Georgia and effective dialogue with authorized persons.

Sakpatenti cooperates actively with the EU in the relations provided for by European Neighborhood Policy (ENP) process and the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) and according to the ENP action plan and DCFTA recommendations regularly provides with information on current legislative, educational and coordination activities. As a result of these directions and fulfillment of these

ლაპარაკებებთან დაკავშირებულ შეხვედრებში.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელსაც საგანმანათლებლო და საკოორდინაციო ფუნქციების გაძლიერების, სახელმწიფოთა გამოცდილებების შესწავლისა და საერთაშორისო ექსპერტთა მოწვევის მიზნით, საქპატენტმა აქტიურად გამოიყენა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (TAIEX) რესურსიც. TAIEX-ის დახმარების ფარგლებში, საქპატენტის თანამშრომლებმა 2010-2012 წლებში მონაწილეობა მიიღეს სასწავლო მივლინებებში უნგრეთში, დანიაში, შვედეთში, ჰოლანდიასა და საფრანგეთში. საგულისხმოა, რომ 27-28 აპრილს საქართველოში საპასუხო სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა დანიის საპატენტო უწყების დელეგაცია.

კერძოდ, 2012 წელს ევროკავშირის ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია:

- 21 ივნისს საქპატენტისა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ერთობლივი სემინარი თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და აღსრულება“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქპატენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო და შემოსავლების სამსახურების, საქართველოს მთავარი პროკურატურის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, საქართველოს საავტორო უფლე-

recommendations, negotiations on Georgia-EU Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) started in early 2012. Sakpatenti continued participation in meetings of the negotiations in Tbilisi and Brussels on IPR chapter, held in Tbilisi and Brussels.

It should be noted that for the purpose of strengthening the educational and coordination functions, Sakpatetni actively used the resource of the European Union technical assistance (TAIEX) as well. With the support of TAIEX, Sakpatenti staff members in 2010-2012 participated in study visits to Hungary, Denmark, Sweden, Netherlands and France. It is noteworthy that on April 27-28 a delegation of the Danish Patent Office paid a return visit to Georgia.

Of the events carried out under the aegis of the European Union in 2012, the following are noteworthy:

- On June 21, 2012, workshop on Intellectual property protection and enforcement, jointly organized by Sakpatenti and the EU Delegation to Georgia, took place in Tbilisi. Representatives of Sakpatenti, Revenue Service and Investigating Service of the Ministry of Finance of Georgia,



საქპატენტის დელეგაციის ვიზიტი უზბეკეთის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ სააგენტოში
Visit of Sakpatenti delegation to the National Intellectual Property Agency of Uzbekistan



შეხვედრა აზერბაიჯანის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და პატენტების კომიტეტის თავმჯდომარესთან რამიზ ჰასანოვთან
Meeting with Mr. Ramiz Hasanov, Chairman of the Committee of Standartisation, Metrology and Patents of Azerbaijan

ბათა ასოციაციისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა. სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულების საქმეში სახელმწიფო ორგანოებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

- 4-5 ივნისს ქ. ბათუმში საქპატენტისა და ევროკავშირის პროგრამა TAIEX-ის მიერ გამართული ერთობლივი სემინარი თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და აღსრულება", რომელზეც მოხსენებით გამოვიდნენ პოლონეთის საბაჟო პალატის, დანიის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციისა და დანიის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყებების ექსპერტები. სემინარზე პრეზენტაციები წარმოადგინეს, ასევე, საქართველოს ავტორთა საზოგადოების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა. განხილულ იქნა შემდეგი თემები: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების მექანიზმები და აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები, ევროპის ქვეყნების მიდგომები ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების საკითხებთან მიმართებაში, საერთაშორისო საბაჟო სტანდარტები, კანონმდებლობა და პროცედურები.
- 2-5 აპრილს ევროკავშირის პროექტის TAIEX-ის მხარდაჭერით, საქპატენტის დელეგაცია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთის ადგილწარმოშობისა და ხარისხის ეროვნულ ინსტიტუტში (INAO). შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა საფრანგეთის გამოცდილება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციისა და დაცვის მიმართულებით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის

General Prosecutor's Office of Georgia, Enforcement Bureau, Copyright Association of Georgia and business sector participated in the workshop. During the workshop special attention was paid to the need to establish effective cooperation between state bodies in the direction of intellectual property rights enforcement.

- On June 4-5, 2012 the joint seminar on Protection and Enforcement of Intellectual Property was held in Batumi, Georgia. The seminar was organized in cooperation with the EU TAIEX program. The invited experts from Polish Customs House, the Danish Tax and Customs Administration and the Danish Patent and Trademark Office delivered presentations on the workshop. Topics were presented by the representatives of the Copyright Association of Georgia, Investigative Service and the Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia. The topics focused on the mechanisms of protection and enforcement of intellectual property in Georgia and problematic issues, European approaches to the protection and enforcement of intellectual property, international customs standards, legislation and procedures.
- On April 2-5 an official delegation of Sakpatenti, visited National Institute of Origin and Quality (INAO) in France with the support of EU project TAIEX. In the framework of the visit French experience in the field of registration and protection of geographical indications and appellations of origin of agricultural products was discussed. Under the Agreement between the European Union and Georgia on Protection of Geographical Indications of Agricultural Products and Foodstuffs, enacted since

შესახებ შეთანხმებით (ძალაში შევიდა 2012 წლის 1 აპრილს), ამჟამად, საქართველოში დაცულია 3000-მდე ევროპული გეოგრაფიული აღნიშვნა. აღნიშნული შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო მათი დაცვის მექანიზმების პრაქტიკის გაზიარებისათვის. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს დელეგაცია ესტუმრა საფრანგეთის მევენახეობის ცნობილ რეგიონს – შამპანს, სადაც გაიმართა ოფიციალური შეხვედრა „შამპანის" კომიტეტის გენერალურ დირექტორთან ბატონ ჟან-ლუკ ბარბიერთან. ასევე, საფრანგეთში საქართველოს ელჩის მონაწილეობით გაიმართა შეხვედრები INAO-ს დირექტორთან ჟან ლუი ბუერთან.

- 22-23 მაისს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის, ეკონომიკისა და შესაბამისი იურიდიული საკითხების ქვეკომიტეტის მე-11 სესია, სადაც საქპატენტის თანამშრომლები მოხსენებით წარსდგნენ ევროკავშირის გენერალური დირექტორატის წინაშე DCFTA მოლაპარაკებების დაწყებისათვის აუცილებელი წინაპირობების შესასრულებლად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.
- 26 ივნისსა და 27-28 ნოემბერს საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს DCFTA-ს მოლაპარაკებებში ბრიუსელში, ხოლო მას შემდეგ – თბილისში გამართულ რაუნდებში.

April 1, 2012, Georgia protects up to 3000 European geographical indications on its territory. Therefore, this workshop was of utmost importance in terms of sharing European experience (especially France) in the protection of GIs. In the framework of the visit in France Georgian delegation visited famous wine growing region – Champagne and met with Mr. Jean-Luc Barbier, Director General of the Committee of Champagne. As a conclusion of the visit an official meeting of the group with the participation of Ambassador of Georgia to France took place with Mr.Jean-Louis Buer, Director of INAO.

- On May 22-23, 11th session of EU-Georgia Subcommittee on Trade, Economic and Related Legal Issues took place in Brussels, Belgium, during which representatives of Sakpatenti reported to the General Directorate of the European Union on fulfillment of preconditions for opening DCFTA negotiations in the field of intellectual property protection.
- On June 26 and November 27-28 Sakpatenti representatives took part in the DCFTA negotiations in Brussels, Belgium, which were followed by the rounds in Tbilisi, Georgia.




საქპატენტის დელეგაციასა და საქართველოს ელჩს საფრანგეთში მამუკა კუდავას მასპინძლობს საფრანგეთში ადგილწარმოშობისა და ხარისხის ეროვნული ინსტიტუტის (INAO) პრეზიდენტი ჟან ლუი ბუერი

INAO president Mr. Jan-Louis Buer hosts the delegation of Sakpatenti and Ambassador of Georgia to France Mamuka Kudava



საქპატენტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი შამპანის კომიტეტის გენერალურ დირექტორ ჟან ლუკ ბარბიერთან

Visit of the delegation of Sakpatenti and the Ministry of Agriculture of Georgia to Mr. Jan Luc Barbier, Director General of the Committee of Champagne

# მრავალმხრივი ხელშეკრულებები
## MULTILATERAL AGREEMENTS

| სახელწოდება | მიერთების თარიღი DATE OF ACCESSION | TITLE |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია | 25.12.1994 | The WIPO Convention |
| სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია | 25.12.1994 | The Paris Convention for the Protection of Industrial Property |
| საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება | 25.12.1994 | Patent Cooperation Treaty |
| ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია | 16.05.1995 | The Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works |
| ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი | 20.08.1998 | Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks |
| შეთანხმება ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებების შესახებ (დსთ) | 04.06.1999 | Agreement on Measures for Prevention and Repression of use of False Trademarks and Geographical Indications (CIS) |
| შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS შეთანხმება) | 14.06.2000 | Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (WTO The TRIPS Agreement) |
| შეთანხმება ერთობლივი რეგიონული საპატენტო-საინფორმაციო პროდუქტის ოპტიკურ დისკებზე CD-ROM გამოშვების შესახებ | 22.05.2001 | Agreement on production of joint regional patent-information product on optical discs CD-ROMs |
| ИСМО-ს საავტორო უფლებების ხელშეკრულება | 06.03.2002 | The WIPO Copyright Treaty |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| ისმო-ს შესრულებებისა და ფონოგრამების ხელშეკრულება | 20.05.2002 | The WIPO Performances and Phonograms Treaty |
| საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის ნიცის შეთანხმება ნიშნების რეგისტრაციის მიზნებისათვის | 28.02.2003 | The Nice Agreement Concerning the International Classification of Goods and Services for the Purposes of the Registration of Marks |
| სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმება | 01.08.2003 | The Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs |
| ჰააგის შეთანხმების ჟენევის აქტი სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ | 23.12.2003 | The Geneva Act of the Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs |
| ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმება | 23.09.2004 | The Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration |
| საერთაშორისო კონვენცია შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ (რომის კონვენცია) | 14.08.2004 | International Convention for the Protection of Performers, Producers of Phonograms and Broadcasting Organizations (The Rome Convention) |
| ბუდაპეშტის ხელშეკრულება საპატენტო პროცედურების მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ | 30.09.2005 | The Budapest Treaty on the International Recognition of the Deposit of Microorganisms for the purposes of the Patent Procedure |
| მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV-ის კონვენცია) | 29.10.2008 | The International Union for the Protection of New Varieties of Plants (UPOV) |

# ორმხრივი ხელშეკრულებები
## BILATERAL AGREEMENTS

| სახელწოდება<br>უწყებათაშორისი შეთანხმებები | ხელმოწერის თარიღი<br>DATE OF SIGNING | TITLE<br>INTEROFFICE AGREEMENTS |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| ოქმი საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო უწყების დელეგაციის ავსტრიის საპატენტო უწყებაში ოფიციალური ვიზიტის შესახებ | 03.09.1993 | Protocol of Visit of the Patent Office of Georgia to the Patent Office of Austria |
| მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ საქართველოს საპატენტო უწყებასა და გერმანიის საპატენტო უწყებას შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით | 17.10.1997 | Memorandum of Understanding on the negotiations between the Georgian Patent Office and the German Patent Office |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და საფრანგეთის სამრეწველო საკუთრების ეროვნულ ინსტიტუტს შორის ძირითადი და ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 15.01.1998 | Agreement on Cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the National Industrial Property Institute of France in the Field of Main and Technical Documentation Exchange |
| შეთანხმება საქართველოს საპატენტო უწყებასა და თურქეთის საპატენტო ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის შესახებ | 13.03.1998 | Cooperation Agreement between the Turkish Patent Institute and the Georgian Patent Office |
| შეთანხმება საქართველოს საპატენტო უწყებასა და რუმინეთის საპატენტო უწყებას შორის თანამშრომლობის შესახებ | 01.07.1998 | Agreement on Cooperation between the Patent Office of Georgia ''Sakpatenti'' and the Patent Office of Romania |
| პროტოკოლი განზრახვის შესახებ საპატენტო დაწესებულებებს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით (აზერბაიჯანის, თურქეთის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მონღოლეთის, ტაჯიკეთის რესპუბლიკებს შორის) | 12.11.1998 | Protocol of Intent concerning cooperation among the patent institutions on the protection of industrial property (Between Republic of Azerbaijan, Georgia, Republic of Kazakhstan, Republic of Kyrgyzstan, Mongolia, Republic of Tajikistan, Republic of Turkey) |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ბულგარეთის საპატენტო უწყებას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 31.05.2001 | Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the Patent Office of the Republic of Bulgaria on Cooperation in the field of Industrial Property |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ლატვიის საპატენტო უწყებას შორის ინფორმაციის გაცვლაზე. | 26.05.2006 | Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the Patent Office of Latvia on Information Exchange. |
| მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ბიუროსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს შორის | 16.06.2008 | Memorandum of Understanding between the State Patent Bureau of the Republic of Lithuania and the National Intellectual Property Center of Georgia |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| შეთანხმება საქართველოსა და უნგრეთის საპატენტო უწყებებს შორის თანამშრომლობაზე | 22.09.2010 | Agreement on cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and Hungarian IP Office |
| თანამშრომლობის პროგრამა საქპატენტსა და ევროპის საპატენტო უწყებასა და საქპატენტს შორის | 09.02.2011 | Program of Cooperation Activities between Sakpatenti and the European Patent Office |
| ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი შეერთებული შტატების პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტს შორის | 4.05.2011 | Memorandum of Bilateral Cooperation Between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the United States Patent and Trademark Office |
| შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს და დანიის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებას შორის | 26.09.2011 | Agreement on the cooperation between the National Intellectual Property Centre of Georgia ''Sakpatenti'' and the Danish Patent and Trademark Office |
| ოქმი თანამშრომლობის შესახებ ისრაელის საპატენტო უწყებასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს" შორის | 28.09.2011 | Declaration of Intent on the cooperation between the National Intellectual Property Centre of Georgia ''Sakpatenti'' and the Israel Patent Office |
| საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტსა" და ბელორუსის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ცენტრს შორის შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ | 24.11.2011 | Memorandum of Understanding between the National Intellectual Property Centre of Georgia ''Sakpatenti'' and the National Intellectual Property Centre of the Republic of Belarus |
| თანამშრომლობის შეთანხმება ისმოსა და საქპატენტს შორის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის ბიზნეს სერვისების განვითარების (IPAS) შესახებ | 29.09.2011 | WIPO Cooperation Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the World Intellectual Property Organization for the Development of Intellectual Property Office Business Services |
| ოქმი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობის ცენტრების (TISC) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ | 30.09.2011 | WIPO Cooperation Agreement on establishment of Technology and Innovation Support Centers (TISCs) |

| სახელწოდება | ხელმოწერის თარიღი<br>DATE OF SIGNING | TITLE |
|---|---|---|
| მთავრობათაშორისი შეთანხმებები | | INTERGOVERNMENTAL AGREEMENTS |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 28.05.1996 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of the Republic of Uzbekistan in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 11.11.1997 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Kazakhstan in the Field of Industrial Property Protectio |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 05.12.1997 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Turkmenistan in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 21.09.1998 | Agreement on Cooperation between the Executive Authority of Georgia and the Government of the Republic of Armenia in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 07.12.1998 | Agreement on Cooperation between the Executive Authority of Georgia and the Cabinet of Ministers of Ukraine in the Field of Industrial Property Protection |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 11.02.2004 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Russian Federation in the Field of Intellectual Property Protection |
| შეთანხმება საქართველოსა და უკრაინას შორის ღვინის, სპირტიანი სასმელისა და მინერალური წყლის გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი ურთიერთდაცვის შესახებ | 01.03.2007 | Agreement on Cooperation between Georgia and Ukraine on Mutual Legal Protection of Geographical Indications of Wines, Spirits and Mineral Waters |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 20.05.2009 | Agreement between the Government of Georgia and Government of Republic of Azerbaijan on the protection of Industrial Property |

# მემორანდუმები
## MEMORANDUMS

| სახელწოდება | ხელმოწერის თარიღი DATE OF SIGNING | TITLE |
|---|---|---|
| თანამშრომლობის პროგრამა საპატენტო კოოპერაციის (PCT) ხელშეკრულებასა და მასთან დაკავშირებულ საპატენტო საკითხებზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტსა" და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (ისმო) შორის | 18.12.2008 | Cooperative Work Program in Relation to the Patent Cooperation Treaty (PCT) and Associated Patent Matters between the National Intellectual Property Center of Georgia (Sakpatenti) and the International Bureau of the World Intellectual property Organization (WIPO) |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქპატენტს შორის | 26.04.2010 | Memorandum of Understanding between Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 17.07.2010 | Memorandum of Understanding between the Business Association of Georgia and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ღვინის ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 15.12.2010 | Memorandum of Understanding between the Wine Association of Georgia and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეწყობის შესახებ | 25.01.2011 | Memorandum of Understanding with the GIZ on support on Technology and Innovation Transfer in German International Cooperation |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტთან | 7.02.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian State Agrarian University |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბიზნეს პროგრამების ალიანსთან | 5.04.2011 | Memorandum of Understanding with the Business Software Alliance |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან | 4.05.2011 | Memorandum of Understanding with the Office of the State Minister of Georgia for Diaspora Issues |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან | 22.06.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian National Museum |
| თანამშრომლობის მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | 11.11.2011 | Memorandum of Understanding with the Ilia State University |
| თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 11.11.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian Technical University |
| თანამშრომლობის მემორანდუმი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის დაფუძნების შესახებ | 20.02.2012 | Memorandum of Understanding with the GIZ on Establishment of Georgian Technology Transfer Center |

# საინფორმაციო საქმიანობა
# INFORMATION ACTIVITY

## ვებგვერდი

საქპატენტის ვებგვერდი საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე მოცემულია ინფორმაცია საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვის სამართლებრივი ასპექტების შესახებ. აქვეა სიახლეები და ინფორმაცია უწყების საქმიანობის შესახებ, ეროვნული მონაცემთა ბაზები მოქნილი საძიებო სისტემით, ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, საქართველოს პატენტრწმუნებულები და მათი საკონტაქტო მონაცემები და სხვა ინფორმაცია განმცხადებლის დასახმარებლად.

გასულ 2012 წელს საქპატენტის ვებგვერდზე გრძელდებოდა სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენების, სიახლეების, იურიდიული ხასიათის მასალებისა, და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ოპერატიულად განთავსება. ამასთანავე, პერმანენტულად ახლდებოდა სამრეწველო საკუთრების ობიექტების მონაცემთა ბაზები ქართულ და ინგლისურ ენებზე. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე განთავსებულ პუბლიკაციებს დაემატა ახალი ჟურნალი „IP საქართველოს" ელექტრონული ვერსია PDF ფორმატში, რომელიც მკითხველისათვის ხელმისაწვდომია მთავარი გვერდიდანაც.

## WEBSITE

Website of Sakpatenti is one of the main means of access to information on intellectual property in Georgia. The website contains information about the legal aspects of protection of intellectual property in Georgia in Georgian and English. Here are also news and information about the Office activities, databases of national documents relating to applications filed with Sakpatenti, legislation regulating the intellectual property field, contact details of patent attorneys of Georgia and other necessary information to assist applicants.

In 2012 the Official Bulletin of Industrial Property, news, legal materials and other information were published on the website on a regular basis. At the same time, databases of industrial property titles in the Georgian and the English languages were updated permanently. It should be noted that the electronic version of



2012 წელს შეივსო და განახლდა ვებ-გვერდზე განთავსებული საქპატენტის ბიბ-ლიოთეკის მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკაში დაცულ ინტელე-ქტუალური საკუთრების დარგობრივი ლიტერატურის ჩამონათვალს.

ორგანიზაციის საქმიანობის შესა-ხებ ინფორმაციის გამჭვირვალეობის მიმართ თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, პერმანენტულად ხდე-ბოდა ტენდერების, აუქციონებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ოპერატი-ულად განთავსება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდ-ში, ვებგვერდზე განთავსებული ინფორ-მაციის მოცულობისა და აქტუალობის შესაბამისად, შეიმჩნევა ვიზიტორთა რა-ოდენობის ზრდის ტენდენცია.

the new magazine "IP Georgia" in PDF format was added to the publications on the website. The magazine is also accessible to readers from the home page.

In 2012 the database of the Sakpatenti library was replenished and updated on the website, which includes the list of specialized IP literature preserved at the library.

Taking into consideration the modern requirements of information transparency of an organization's activity, information on tenders, auctions, etc. was published permanently.

It is noteworthy that in the recent period, in accordance with the volume and urgency of the information published on the website, the tendency of increase of the visitors' number is noticeable.

## საგამომცემლო საქმიანობა

საქპატენტისათვის საგამომცემლო საქმიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც ემსახურება საპატენტო ინფორმაციის გავრცელებასა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცოდნის ამაღლებას. საქპატენტის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება თანამედროვე პოლიგრაფიული დანადგარებით აღჭურვილი სტამბის მეშვეობით ახორციელებს როგორც მიმდინარე სამუშაოებს, ასევე, დარგობრივი ლიტერატურისა და სხვადასხვა საინფორმაციო გამოცემების ბეჭდვას.

პარიზის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, ისმო-ს წევრი ყველა ქვეყნის საპატენტო უწყების მსგავსად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი გამოსცემს „სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენს". ქართულენოვანი ბიულეტენები გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის 10 და 25 რიცხვში. სწორედ აღნიშნული თარიღებიდან აითვლება ის ვადები, რომლის განმავლობაშიც მესამე პირებს შესაძლებლობა ეძლევათ გაასაჩივრონ ექსპერტიზის გადაწყვეტილებები სასამართლოში ან საქპატენტის სააპელაციო პალატაში, ამიტომ ამ თარიღებს იურიდიული მნიშვნელობა აქვს.

სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში თავს იყრის ყველა ინფორმაცია საქპატენტში სარეგისტრაციოდ შემოტანილი თუ რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შესახებ. ბიულეტენში საერთაშორისო კლასიფიკაციებისა და ისმო-ს სტანდარტების შესაბამისი ინდექსების გამოყენებით, რეგისტრაციამდე და რეგისტრაციის შემდგომ, ქვეყნდება იმ ობიექტების მონაცემები, რომლებზეც გამოტანილია ექსპერტიზის დადებითი

## PUBLISHING ACTIVITY

Publishing activity is one of the significant basic directions of Sakpatenti activity, which serves the purpose of dissemination of patent information and raising public awareness in the intellectual property field. The Editorial-Publishing Division of Sakpatenti carries out current works as well as publication of specialized literature and various information editions by means of the printing-office equipped with modern polygraphic facilities.

According to the requirements of the Paris Convention, similar to IP office of all member states of WIPO, the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti publishes the Official Bulletin of Industrial Property. The Bulletin in the Georgian language is issued twice a month, on the 10th and 25th of each month. From this date the terms will be counted during which third parties may oppose decisions of the examination at Court or the Chamber of Appeal of Sakpatenti, thus, these dates have legal significance.

The Official Bulletin of Industrial Property includes all information on IP objects filed with Sakpatenti for registration or already registered ones. With the use of international classifications and relevant indexes of WIPO standards, the data are published, pre and post registration, concerning objects for which a favourable decision of examination is taken. All information on changes recorded in the Register - change of owner's name

გადაწყვეტილება, ასევე, ოფიციალური შეტყობინებები, ინფორმაცია რეესტრში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებების შესახებ, იქნება ეს მფლობელის სახელისა და მისამართის ცვლილება, თუ რეგისტრაციის ბათილად ცნობა, გაუქმება, ან უფლებათა გადაცემა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ყველა ბიულეტენის ბოლოს განთავსებულია სისტემური საძიებლები, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს მოიძიოს გამოქვეყნებული ობიექტები მის ხელთ არსებული ნებისმიერი მონაცემის მიხედვით.

გასულ 2012 წელს გამოიცა გეგმით გათვალისწინებული 24 ქართულენოვანი ბიულეტენი (№№1(341)–24(364)), ხოლო მათი ელექტრონული ვერსიები იმავე დღეს განთავსდა საქპატენტის ვებგვერდზე. ისევე, როგორც გასულ წლებში, ბიულეტენის ყველა ნომერი უსასყიდლოდ გავრცელდა საქართველოს მსხვილ ბიბლიოთეკებსა და სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში.

საქპატენტის საგამომცემლო განყოფილებაში ითარგმნება და დადგენილი სტანდარტის შესაბამისად გამოიცემა ოფიციალური ბიულეტენის ინგლისურენოვანი ვერსიაც. 2012 წელსაც ყველა ოფიციალური ბიულეტენი ითარგმნა,

and address, cancellation of registration, nullity, transfer of rights, etc. - is also published in the Bulletin. Each issue of Bulletin is printed with classification indexes, which allows interested persons to search published objects according to any data available to them.

In 2012 planned 24 Georgian-language issues of the Bulletin were printed (№№1(341)–24(364)), the English version of which were published on the Sakpatenti website on the same day. As in previous years, all issues were disseminated free of charge to major libraries and educational and research institutions this year.

At the Publishing Division of Sakpatenti all issues of the Official Bulletin are translated and published in English. In 2012 too, all issues of the Official Bulletin are translated and electronic versions of the English-language Bulletins were published in the "Publications" section of the English version of the Sakpatenti website and were sent to foreign patent offices.



ინგლისურენოვანი ბიულეტენების ელექ-ტრონული ვერსიები განთავსდა საქპატენ-ტის ვებგვერდის ინგლისურენოვან ნაწილში, განყოფილებაში "Publications" და გაიგზავნა უცხოეთის საპატენტო უწყე-ბებში.

გარდა სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენისა, საქპატენტი ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოს-ცემს „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენ-საც", რომლის გამოცემის პერიოდუ-ლობა დამოკიდებულია მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის რეგისტრა-ციის მოთხოვნით საქპატენტში შემო-სული განაცხადების რაოდენობაზე. გა-სულ 2012 წელს გამოიცა ახალი ჯიშების ბიულეტენის 5 ნომერი (№1(9) – №5(13)), რომლებიც დაიგზავნა პროფილურ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. ფართო საზოგადოებისათვის კი ყველა ნომერი ხელმისაწვდომია საქპატენტის ბიბლიოთეკასა და ვებგვერდზე.

სარედაქციო-საგამომცემლო განყო-ფილებაში მიმდინარე სამუშაოთა დიდ ნაწილს მოიცავს გამოგონებისა და სა-სარგებლო მოდელების ადგილობრივი თუ საერთაშორისო განაცხადების აღ-წერილობებისა და რეფერატების რე-დაქტირება. გასულ წელს ამ სამუშაოებმა მოიცვა 391 აღწერილობა და რეფერატი. ასევე, განყოფილებაში მიმდინარეობს დსთ-ს საერთაშორისო CD ROM დისკ-ზე განსათავსებელი ბიბლიოგრაფიული მონაცემებისა და რეფერატების რე-დაქტირება სამ ენაზე. ამ მიზნით, 2012 წელს, დადგენილი სტანდარტის შესაბამ-ისად, დამუშავდა გამოგონებისა და სა-სარგებლო მოდელის 411 აღწერილობა და რეფერატი.

საქპატენტი პერიოდულად გამოსცემს დარგობრივ პუბლიკაციებს, საცნობა-რო და პოპულარულ ლიტერატურას, რითაც ხელს უწყობს ინტელექტუალური

Along with the Official Bulletin of Industrial Property, Sakpatenti issues in the Georgian and English languages Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds, periodicity of its publication depends on the number of applications filed with Sakpatenti with the request of registration of one of the significant IP objects – a new plant variety and animal breed. In 2012, 5 issues of the Official Bulletins for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds were published (№1(9) – №5(13) and sent to profile research institutions. All issues are available to general public at the Sakpatenti library and website.

A major part of works at the Editorial-Publishing Division covers editing of specifications and abstracts of local and foreign applications for inventions, utility models and designs. In the reporting year 391 specifications and abstracts were edited. The bibliographic data and abstracts to be published on the international CD-ROM of the CIS countries are also edited in three languages. In 2012 specifications of 411 inventions and utility models were processed according to the standard.

Sakpatenti periodically publishes specialized publications, reference and popular literature, thereby facilitating raising public awareness in the intellectual property field. The year 2012 was significant for the fact that the Office celebrated the 20th anniversary of its foundation by establishing a new periodical IP Georgia – an illustrated publication of high polygraphic quality. It is symbolic that

საკუთრების სფეროში საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას. გასული 2012 წელი აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ უწყებამ დაარსებიდან 20 წლისთავი აღნიშნა ახალი პერიოდული გამოცემის „IP საქართველო" დაფუძნებით. ეს არის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის, ილუსტრირებული გამოცემა. სიმბოლურია, რომ ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეს 26 აპრილს, მის წინასიტყვაობაში საქპატენტის თავმჯდომარემ ირაკლი ღვალაძემ აღნიშნა, რომ ჟურნალი იქნება „ქვეყნის ყველაზე ღირებული აქტივის – ინტელექტუალური საკუთრების საზოგადოებისათვის წარდგენისა და მასზე საჯარო დისკუსიის საშუალება". მართლაც, გასულ წელს გამოცემული ჟურნალის სამივე ნომერმა მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს გამოცემები გამოირჩეოდა ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული საინტერესო რუბრიკებითა და სხვადასხვა აქტუალურ თემაზე მოწვეული ავტორებისა და საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებების სტატიებით. მათ შორის უნდა აღინიშნოს ვრცელი ინტერვიუ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან ფრენსის გარისთან.

საქპატენტი ყოველწლიურად გამოსცემს წლიურ ანგარიშს. გასულ წელს გამოიცა საქპატენტის 2011 წლის ანგარიში, რომელშიც საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად ტრადიციულად აისახა თითოეული დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოები და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები. წლის ბოლოს კი გამოიცა 2013 წლის მაგიდის კალენდარიც საქპატენტის ახალი ოფისის გამოსახულებით.

დიდტანიანი გამოცემების გარდა, საქპატენტის სტამბაში სისტემატურად იბეჭდება საქმისწარმოებისათვის საჭირო

the first issue of the magazine was published on April 26, the World Intellectual Property Day. In the preface of the magazine Chairman of Sakpatenti Mr. Irakli Ghvaladze noted that the magazine will be a place to present publicly and discuss one of the most valuable assets of our country – intellectual property. Indeed, last year all the three issues of the magazine enjoyed great popularity. These issues were distinguished by interesting rubrics linked with intellectual property field and articles on various topics by invited authors and well-known persons. Of these, mention should be made of an extensive interview with Mr. Francis Gurry, Director General of World Intellectual Property Organization.

Every year Sakpatenti publishes its annual report. Last year the Annual Report of Sakpatenti for 2011 was published, in which the work carried out by each department of Sakpatenti during the year according to the basic directions of the activity and statistical data were reflected. At the end of the reporting year, a wall calendar for 2013 was also published with the photo of the new Office of Sakpatenti.

Along with voluminous publications, Sakpatenti printing-office systematically issues documents necessary for proceed-



დოკუმენტები, საპატენტო სიგელები, მოწმობები, დანართები, საფირმო ბლანკები, დამცავი დოკუმენტების ყდები, მისალოცი და სავიზიტო ბარათები, ასევე, სასემინარო მასალები, პრეზენტაციები და სხვ. კერძოდ, გასულ წელს დაიბეჭდა 28800 ერთეული საქმიანი ქაღალდი და დამცავი დოკუმენტი, 2425 საქაღალდე რეკვიზიტებით მოწმობებისა და სიგელებისათვის, 1480 ერთეული სასემინარო მასალა და პრეზენტაცია, 750 მისალოცი და მოსაწვევი ბარათი და 17000-მდე სარეზოლუციო და საშვის ბარათი. სტამბაში მრავლდება და იკინძება რეგისტრირებული პატენტების აღწერილობები, რომლებიც გაიცემა დამცავ დოკუმენტებთან ერთად. თავისი მოცულობიდან გამომდინარე, აღნიშნული სამუშაოები შეადგენს პოლიგრაფიის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს. ასე მაგალითად, გასულ 2012 წელსაც გამრავლდა 29370 ფურცელი, ხოლო აიკინძა 1000 ერთეული პატენტის აღწერილობა.

თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი საუწყებო სტამბა საშუალებას გვაძლევს უმოკლეს დროში გამოვცეთ ყველა საჭირო ფორმატის ევროპული სტანდარტის პოლიგრაფიული პროდუქცია. მიმდინარე გეგმიური გამოცემების გარდა, 2012 წელს საქპატენტში დაიბეჭდა სარეკლამო და საცნობარო ხასიათის გამოცემები: 1000 ცალი ბუკლეტი „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა", ისმო-სა და საქპატენტის მიერ ორგანიზებულ სემინარზე გასავრცელებლად – 150-150 ცალი ორი სახის საინფორმაციო ტრიპლეტი „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები" და „ქართული გეოგრაფიული აღნიშვნები", ასევე, საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის საპრეზენტაციოდ, 500-500 ცალი ორი სახის ტრიპლეტი „Inno-Georgia" და 50 ცალი ტრიპლეტი „ტექნოლოგია და ინოვაცია".

ings, patents, certificates, attachments, letterheads, covers for titles of protection, greeting and visiting cards, passes, as well as seminar materials, presentations, etc. In particular, last year 28800 items of documents and titles of protection, 2425 folders with requisites for certificates and patents, 1480 items of seminar materials and presentations, 750 greeting and invitation cards and up to 17000 resolution cards and passes were printed. Specifications of registered patents are also multiplied and bound at the printing-office, which are issued with titles of protection. Proceeding from their large scale, these works form a considerable part of polygraphic activities. Thus, in 2012, 29370 pages were multiplied and 100 items of patent specification were bound.

The printing-office, equipped with modern polygraphic facilities, allows issuing over a short period of time European-standard polygraphic production in necessary format. Along with current planned publications, in 2012 the printing-office published advertising and reference materials: 1000 booklets on Protection of Intellectual Property Rights, 150 items of 2 types of information triplets for dissemination at the seminar organized by WIPO and Sakpatenti Appellations of Origin of Georgian Wines and Georgian Geographical Indications, as well as for presentation of the Georgian Technology Transfer Centre 500 items of 2 types of triplets INNO-Georgia and 50 triplets – Technology and Innovation.

By means of its polygraphic works Sakpatenti participates in the organiza-

საქპატენტი პოლიგრაფიული სამუშაოების შესრულებით მონაწილეობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებაში. ამ მხრივ არც 2012 წელი ყოფილა გამონაკლისი. მაგალითად, გასულ წელს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციისათვის საქპატენტის სტამბაში დაიბეჭდა საინფორმაციო ფლაერები „დაიცავი საავტორო უფლება", კავკასიური ნაგაზის გამოფენისათვის – ბროშურები და დიპლომები, ბუკლეტი და აფიშები განათლების სამინისტროსა და ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებული ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VI საერთაშორისო ოლიმპიადისათვის და მოსაწვევი ბარათები ღვინის ისტორიის ფონდის ღონისძიებისათვის.

tion of events related with the intellectual property field. The year 2012 was not an exception in this respect either. E.g. Sakpatetni printing-office published for the Georgian Copyright Association flyers "Protect Copyright", brochures and diplomas for the exhibition of Caucasian shepherd dog, booklet and posters for posters for the 6th International Olympiad of Young Scientists and Inventors, organized by the Ministry of Education and Chaglar Educational Institutions, and invitation cards for the event organized by the Wine History Foundation.



# ბიბლიოთეკა

მრავალი წელია, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ინფორმირებისა და ცოდნის გავრცელების საქმეში დიდ როლს ასრულებს საქპატენტის ბაზაზე არსებული ინტელექტუალური საკუთრების ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია ადგილობრივი და უცხოური საპატენტო ინფორმაციის უნიკალური და მუდმივად განახლებადი ფონდი.

გასული 2012 წელი აღსანიშნავი იყო იმით, რომ საქპატენტის ბიბლიოთეკა გადავიდა მცხეთაში, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ახალ ოფისში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ბიბლიოთეკის მომხმარებელთა სწრაფი და ეფექტური მომსახურებისათვის. თანამედროვე საცავი, დიდი და ლამაზი სივრცე, ნათელი დარბაზი და მყუდრო გარემო – ეს ის პირობებია, რომლებიც დღეს საქპატენტის ბიბლიოთეკას გამოარჩევს.

2013 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქპატენტის ბიბლიოთეკაში არსებული ეროვნული საპატენტო ფონდი მოიცავს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტების 7500-მდე აღწერილობას, რომლებიც ინახება ელექტრონულ მატარებლებზე, სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენებისა და საერთაშორისო კლასიფიკატორების შესაბამისად შედგენილი სისტემური და ნუმერაციული კატალოგების სახით.

საზღვარგარეთის ქვეყნების საპატენტო ინფორმაციამ, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის საპატენტო უწყების, ავსტრიის, რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების საპატენტო დოკუმენტაციამ შეადგინა 12100 CD და DVD-ROM დისკი.

# LIBRARY

For many years, Intellectual Property Library, functioning on the basis of Sakpatenti, has played an important role in public awareness raising and dissemination of knowledge in the intellectual property field in Georgia. The library houses a unique and ever-renewable collection of local and foreign patent information.

It is noteworthy that in 2012 Sakpatenti library moved to Mtskheta, to the new office of the National Intellectual Property Center, where there are all conditions for fast and efficient service of library users. A modern book depository, a large and beautiful space, a bright hall and cozy atmosphere – these are the conditions which distinguish at present Sakpatenti library.

By January 1, 2013, the national patent collection housed at the library at present includes up to 7500 specifications of inventions and utility models, stored on electronic carriers, in the form of system and numeration catalogs compiled in accordance with the Official Bulletins of Industrial Property and International Classifications.



საქპატენტის ბიბლიოთეკაში
At Sakpatenti Library

ბიბლიოთეკის მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია: ევროპის საპატენტო უწყების მონაცემთა ბაზები (INPADOC და ESPACENET), ევრაზიის საპატენტო ორგანიზაციის (EAPATIS), აშშ-ს საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების, როსპატენტის, გერმანიის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების (DEPATISNET) მონაცემთა ბაზები, აგრეთვე, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების რეგიონის პატენტები (ESPACE PRECES) და სხვა. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს საქპატენტის ბიბლიოთეკა მიუერთდა საპატენტო ინფორმაციის კიდევ ერთ საძიებო GPI (Global Patent Index) სისტემას.

2012 წელს განხორციელდა საქპატენტის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის განახლება. შესყიდულ იქნა დარგობრივი თემატიკის ახალი უცხოური გამოცემები. ამჟამად, მკითხველთათვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული ქართულ და უცხო ენებზე გამოცემული 1550-ზე მეტი დასახელების დარგობრივი ლიტერატურა: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის პუბლიკაციები, საერთაშორისო კლასიფიკაციები, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ლექსიკონები და ცნობარები, მათ შორის, საქპატენტის გამოცემებიც – სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები, სისტემური საძიებლები, წლიური ანგარიშები, ქართულ ენაზე ნათარგმნი საერთაშორისო კლასიფიკაციები, წიგნები, ჟურნალები და ბროშურები. აღნიშნული ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი ბაზის მეშვეობით, რომელიც განთავსებულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია საქპატენტში არსებული საბიბლიოთეკო ფონდის შესახებ.



Patent information of foreign countries, including patent documentation of the World Intellectual Property Organization, the European Patent Office, Austria, Russia, USA, France, Japan and other countries, reached 12100 CD and DVD-ROM discs.

The library visitors can access databases of the European Patent Office (INPADOC and ESPACENET), the database of the Eurasian Patent Organization (EAPATIS), the databases of the United States Patent and Trademark Office, ROSPATENT, the German Patent and Trademark Office (DEPATISNET), as well as patents from the region of Eastern and Central European states (ESPACE PRECES), etc. It is noteworthy that in 2012 Sakpatenti library joined one more patent information search database GPI (Global Patent Index) system.

In 2012 the literature existing at Sakpatenti library was replenished. New foreign specialized publications were purchased. At the library more than 1550 titles of related intellectual property literature published in the Georgian and foreign languages are available to readers: publications of the World Intellectual

უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ საქპატენტის ბიბლიოთეკის ყველა მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს უფასო პირველადი კონსულტაცია სამრეწველო საკუთრების დაცვისუნარიანი ობიექტების გამოსავლენად, ასევე, სხვადასხვა მონაცემთა ბაზით სარგებლობისა და განაცხადის სწორად გაფორმების შესახებ. აქ პოტენციურ განმცხადებელს ეხმარებიან სარეგისტრაციოდ წარსადგენი საპატენტო ობიექტის საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისი ინდექსებისა და სასაქონლო ნიშნის საქონლისა და მომსახურების კლასების განსაზღვრაში, სურვილის შემთხვევაში კი უმზადებენ პატენტის აღწერილობებისა და დარგობრივი ნორმატიული დოკუმენტაციის ასლებს. 2012 წელს ბიბლიოთეკის სხვადასხვა სახის მომსახურებით 150-ზე მეტმა დაინტერესებულმა პირმა და პოტენციურმა განმცხადებელმა ისარგებლა. მათ შორის იყვნენ: გამომგონებლები, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, მეცნიერმუშაკები, სტუდენტები და პენსიონერები.




Property Organization, international classifications, scientific and technical literature, encyclopedias, dictionaries and reference books, among these are Sakpatenti publications as well - Official Bulletins of Industrial Property, classification indexes, annual reports, international classifications, books, journals and brochures translated in the Georgian language. By means of the electronic search database of this literature, which is published on the official website of the National Intellectual Property Center, interested persons have opportunity to receive information on the library collection stored at Sakpatenti.

Noteworthy enough, library visitors can receive free primary consultation on the identification of protectable industrial property objects, on using various databases and drafting an application properly. Assistance is rendered to potential applicants in identification of relevant indexes of the international classification of a patent object to be submitted for registration and classes of goods and services of a trademark, and copies of patent specifications and related legal acts are prepared for them upon request. In 2012 more than 150 interested persons and potential applicants used library service, including inventors, representatives of small and medium-sized enterprises, research workers, students and retirees.

## ინფორმაციული ტექნოლოგიები

2012 წელს შემუშავდა საქპატენტში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქმისწარმოების და მათი ადმინისტრირების ახალი ავტომატიზირებული სისტემა, რომელმაც 2013 წლის დასაწყისში უნდა ჩაანაცვლოს საქპატენტში ექსპლუატაციაში მყოფი მოძველებული პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული სისტემა ემყარება უახლეს მიდგომებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში და არსებულთან შედარებით უფრო ეფექტურს გახდის და გაამარტივებს საქმისწარმოებას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე, როგორებიცაა: გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სასაქონლო ნიშნები და დიზაინები. გარდა ამისა, ახალ სისტემაში ინტეგრირებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვაზე განაცხადების ელექტრონულად (online) წარდგენის ფუნქციური საშუალებები, რაც უდავოდ უდიდეს სამსახურს გაუწევს განმცხადებლებს განაცხადების წარდგენისა და საქმისწარმოების გაიოლების კუთხით და ახალ, უფრო თანამედროვე ეტაპზე გადაიყვანს საქპატენტს უქაღალდო (ელექტრონული) საქმისწარმოების დანერგვის თვალსაზრისით.

ამავე წელს საქპატენტში ექსპლუატაციაში შევიდა გამოგონებებზე საერთაშორისო (PCT) განაცხადების წარდგენისა და დამუშავების ელექტრონული სისტემა ე.წ. PCT-ROAD, აგრეთვე, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან ამ განაცხადებთან დაკავშირებული მონაცემთა გაცვლის სისტემა ე.წ. PCT-EDI, რამაც ხელი შეუწყო საქპატენტს,

## INFORMATION TECHNOLOGIES

In 2012 a new automated system of workflow of intellectual property objects and their administration was developed at Sakpatenti, which should replace early in 2013 the outdated software currently in use at the office. The system is based on the modern approaches in the information technologies field and will make more effective and simpler proceedings on intellectual property objects, such as: inventions, utility models, trademarks and designs. Along with this, the new system includes functional means for electronic (online) filing of applications, which will undoubtedly be of great service to applicants from the viewpoint of filing applications and simplification of procedures, and will take Sakpatenti to a new, more modern stage with respect to introduction of paperless (electronic) proceedings.

In the same year electronic system of filing and proceeding of international applications for inventions (PCT), the so-called PCT-ROAD was put into operation at Sakpatenti, as well as data exchange system with the World Intellectual Property Organization related with these applications, the co-called PCT-EDI, which facilitated Sakpatenti, as a receiving office of international applications, in more effective proceedings of this type of applications.

როგორც საერთაშორისო განაცხადების მიმღებ უწყებას, ამ ტიპის განაცხადებზე საქმისწარმოების უფრო ეფექტურად განხორციელებაში.

2012 წელს გაგრძელდა სასაქონლო ნიშნებზე საერთაშორისო განაცხადების მონაცემთა მიღება და საქპატენტის ექსპერტიზის გადაწყვეტილებათა შესახებ მონაცემების გაგზავნა ელექტრონულ ფორმატში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში.

ასევე, გაგრძელდა გამოგონებებზე და სასარგებლო მოდელებზე საქართველოს პატენტების ბიბლიოგრაფიული მონაცემებისა და სრული აღწერილობების განთავსება გლობალურ საპატენტო მონაცემთა ბაზაში ESPACENET და რიგ წამყვან კომერციულ საპატენტო მონაცემთა ბაზებში.

პარალელურად გრძელდებოდა ზემოაღნიშნული მონაცემების გაგზავნა და განთავსება დსთ-ს ქვეყნების საერთო CD-ROM დისკებზე. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქპატენტში პირველად განხორციელდა აღნიშნულ დისკებზე არსებული მონაცემების მიღება ინფორმაციის ელექტრონული მატარებლების (CD დისკების) გარეშე და მათი ტესტირება შესაბამის საძიებო სისტემაში.

2012 წელს განხორციელდა ლოკალური ქსელის ინფრასტრუქტურის და ტექნიკური ბაზის გაფართოება ახალი ამოცანების გათვალისწინებით. თანამშრომელთა უმეტესი ნაწილისათვის განხორციელდა ახალი, თანამედროვე სისტემური რესურსებით აღჭურვილი პერსონალური კომპიუტერების შეძენა.

2012 წლის სექტემბერში, საქპატენტის ოფისის შეცვლასთან დაკავშირებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების განყო-

In 2012 receiving of data of international applications for trademarks and sending of information on Sakpatenti examination decisions in electronic format to the World Intellectual Property Organization continued. Publication of bibliographic data and full-texts of Georgian patents for inventions and utility models in the global patent database ESPACENET and a number of leading commercial patent databases also continued in the reporting period.

Along with this, the above-mentioned data were sent and published on common CD-ROM disc of the CIS countries. It should be noted that last year the data existing on these discs were received without electronic carriers of information and were tested in the appropriate search system for the first time at Sakpatenti.

In 2012 the local network infrastructure and technical base were enhanced in accordance with new challenges. New personal computers, provided with modern system resources, were purchased for the majority of staff members.

In connection with the replacement of Sakpatenti Office in September 2012 the Information Technologies division carried out transfer of servers of proceedings and databases and employees' workstations without hampering the working process.

In order to bring in compliance application processing for all the four ob-

ფილების მიერ უზრუნველყოფილი იყო საქმის წარმოებისა და მონაცემთა ბაზების სერვერების და თანამშრომელთა სამუშაო ადგილების გადატანა სამუშაო ციკლის შეფერხების გარეშე.

სამრეწველო საკუთრების ოთხივე ობიექტზე განაცხადების დამუშავების მიმართ მოთხოვნების ცვლილების შესაბამისად, მონაცემთა ბაზაში განხორციელდა რიგი ცვლილებები საქმისწარმოების ციკლის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

რეგულარულად ხორციელდებოდა გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, დიზაინსა და სასაქონლო ნიშანზე შემოსული განაცხადების დამუშავება და ბიბლიოგრაფიული მონაცემების, რეფერატების, ნახაზების, გამოსახულებებისა და დამატებითი მასალების განთავსება მონაცემთა ბაზაში. კერძოდ, 2012 წლის მანძილზე საქპატენტის მონაცემთა ბაზებში განთავსდა: გამოგონებაზე 372, ხოლო სასარგებლო მოდელზე – 49 განაცხადი, მათი რეფერატების და ნახაზების დამუშავების გათვალისწინებით, დიზაინზე – ადგილობრივი 56 (დამუშავდა 208 დიზაინი) და ჰააგის საერთაშორისო შეთანხმებით შემოსული 185 (დამუშავდა 818 დიზაინი) განაცხადი. გარდა ამისა, დამუშავდა და ბაზაში განთავსდა სასაქონლო ნიშნების 1413 ეროვნული (მათ შორის, დაჩქარებული საქმისწარმოების – 238) და 3151 მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმის საფუძველზე შემოსული საგანაცხადო მასალა.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, 2012 წლის მანძილზე საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს ფაილინგის ჯგუფის სამუშაოთა დიდ ნაწილს შეადგენდა არსებულ განაცხადებთან დაკავშირებით

jects with new requirements, a series of changes were made to the proceedings cycle.

